საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 36 (309) ● შაბათი, 25 თებერვალი, 1992 წელი ● ფასი 60 კაპიკი.

წუხელ შეიტყვეთ

თბილისის სამხედრო კომენდანტის ცნობა

დედაქალაქში შექმნილი არასტაბილური ვითარებით სარგებლობენ დამნაშავე ელემენტები. ისინი არას დაგიდევენ მართლწესრიგს, კანონიერებასა და ზნეობრივ ნორმებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის კომენდანტმა გელა ლანჩავამ, მიუხედავად მრავალჯერ გაფრთხილებისა, სასწრაფო დახმარების მანქანებზე თავდასხმა კვლავ გრძელდება. კვირას თავს დაესხნენ მთაწმინდის რაიონში სასწრაფო დახმარების მანქანებს. უმეტესად ეს ხდება დილის საათებში. თავს დაესხნენ აგრეთვე ჩუღურეთის რაიონში ტუბდისპანსერს. გაიქურდა ერთი ბინა, კომენდანტის საათის დარღვევისათვის დაკავებულია მოქალაქე.

23 თებერვალს, დაახლოებით 11 საათზე გლდანის მესამე მიკრორაიონში გაძარცვეს 39-ე სკოლა, წაღებულია ორი კომპიუტერი, გატეხილია სამედიცინო ოთახი.

ვაკის რაიონში ერთ-ერთი მხატვრის ბინიდან მოიპარეს ორიგინალები.

სროლა იყო სამგორის რაიონშიც. შედარებით სიწყნარე იყო ისნის რაიონში.

გულიკო ფარქოზაშვილი.

ვითარება სოხუმში მძაფრდება

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი მოვლენათა ცენტრში აღმოჩნდა, მაგრამ არა მისთვის დამახასიათებელი სცენური სიახლით, არამედ თავისი საპარადო შესასვლელის უჩვეულო შესახედაობით მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება აფხაზეთში ქართული კულტურის ამ პოპულარულმა კერამ. აქ დამხობილი პრეზიდენტის გამსახურდიას მომხრეთა გადაწყვეტილებით მიმდინარეობს ახალგაზრდების საპროტესტო აქცია — მჯდომარე გაფიცვა. 19 თებერვალს ქართული ეროვნების სტუდენტთა და სკოლების მოსწავლეთა ჯგუფმა სცადა გამოეცხადებინა შიმშილობაც, მაგრამ მკვეთრი აცივებისა და ქარბუქის გამო ამის უფლება არ მისცეს ექიმებმა, მშობლებმა და აღმზრდელებმა.

ამრიგად, ქალაქში, სადაც უკიდურესობამდე გამწვავებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, გაჩნდა კიდევ დაძაბულობის ერთი კერა. ახლა საქართველოს დროებითი ხელისუფლებისადმი საყოველთაო დაუმორჩილებლობისა და ექსპრეზიდენტის თავის უფლებებში აღდგენისთვის ბრძოლის „მშვიდობიანი“ მეთოდების გაძლიერების მოწოდებანი ამავე დროს გაისმოდა სახლთა ვაგზალთან გამართულ მიტინგებზეც.

საქმე ის არის, რომ ფართოვდება იმათი წრე, ვინც მჯდომარე გაფიცვა გამოაცხადა, გაფიცვაში მონაწილეობის მსურველიც ბევრია. ამ აქციის ორგანიზატორებმა წერილები-მოწოდებანი, რომლებშიც მოითხოვენ დროებითი მთავრობის გადადგომას და გამსახურდიას დაბრუნებას, დაუგზავნეს არა მარტო აფხაზეთის, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების ყველა სასწავლებლებსა და ახალგაზრდულ კოლექტივებს.

ამ დღეებში აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ პარლამენტის სხდომაზე უნდა განიხილოს სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად მისი სამართლებრივი კომისიის მიერ მომზადებული საკითხი მოქალაქეთა განსაკუთრებული ქცევის რეჟიმის შემოღების შესახებ, რომელსაც არაფრით არ შეესაბამება ქალაქში მიმდინარე საპროტესტო აქციები.

თენგიზ ჯიბუტი.

კვლავ აფეთქება

23 თებერვალს, გვიან ღამით, დაუდგენელმა პირებმა რკინიგზაზე ააფეთქეს ხიდი და ლიანდაგი სოხუმიდან 25 კილომეტრზე სადგურების დრანდა-წყურგილის მონაკვეთზე ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე. მსხვერპლი არ ყოფილა. ეს აფეთქება უკვე მესამე შემთხვევაა, რომელიც მოხდა ამ რვა დღის განმავლობაში სოხუმსა და ოჩამჩირეს შორის.

აღნიშნული ფაქტის გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის მუშაკები.

იოსებ ბოგეჭია.

ავარია მეტროში

23 თებერვალს, ნაშუადღევს, თბილისის მეტროპოლიტენის „წერეთლის პროსპექტისა“ და „პოლიტექნიკურის“ სადგურებს შორის გადასარბენზე შეეჯახა ორი ერთმანეთის მიყოლებით მიმავალი მატარებელი. ეს საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს აცნობა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა გურამ გაბუნიამ.

— რამდენიმე მგზავრმა, — თქვა მან, — და ერთ-ერთი მატარებლის მემანქანემ მიიღო სხეულის მეტნაკლები დაზიანება. საბედნიეროდ, ავარიას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

წუხელ შეიტყვეთ

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს, საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ არ შეიძლება ერთი უკანონო ხელისუფლების შეცვლა მეორე, ასევე უკანონო, ხელისუფლებით და აუცილებელია კანონიერი, კონსტიტუციური ხელისუფლების აღდგენა

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს

დეკლარაცია

საქართველოს რესპუბლიკის ფუძემდებელი სახელმწიფოებრივი დოკუმენტებია: „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, გამოცხადებული საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს და „საქართველოს კონსტიტუცია“, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, აგებული ამ დოკუმენტებსა და 1918-1921 წლებში მიღებულ სხვა სამართლებრივ აქტებში ჩამოყალიბებულ პრინციპებზე, დე-ფაქტო და დე-იურე სცნო ერთა ლიგამ, მასში შემავალმა წამყვანმა სახელმწიფოებმა.

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება განისაზღვრა „მუდმივ და შეუწყვეტლივ“ (თავი პირველი, ზოგადი დებულებანი, მუხლი 10). მისი მიღების შემდეგ საქართველოს პარლამენტს არ დაუდგენია საკანონმდებლო აქტით კონსტიტუციის გაუქმება ან შეჩერება. ამგვარი დადგენილების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ სარეფერენდუმო გადაწყვეტილებით საქართველოს მოქალაქეთა მიერ, რის გარეშეც საქართველოს დამფუძნებელ კრებას არ ჰქონდა უფლებამოსილება გაეუქმებინა კონსტიტუცია ან შეეჩერებინა მისი მოქმედება.

1992 წლის 2 იანვარს საქართველოში მოხდა კონსტიტუციური წყვეტა, რამაც აღადგინა სამართლიანობა. დასრულდა პერიოდი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას.

საქართველოს კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს, საქართველო-საბჭოთა რუსეთის ომის დროს. ამ გარემოებამ განაპირობა კონსტიტუციის ტექსტში მისი დამცავი მექანიზმის შეტანა, რომელმაც უზრუნველყო დოკუმენტის სამართალმემკვიდრეობითობა ქვეყნის ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც არ შეეძლო სამართალმემკვიდრეობითობის დაცვით საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, ამ პრინციპის უხეში დარღვევით მოახდინა უსამართლო კონსტიტუციური წყვეტა, სამხედრო ძალით შეცვალა ადგილობრივი არჩევითი და დემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურები, დააწესა საკუთარი პოლიტიკური წესწყობილება და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მიერ მიღებულ კონსტიტუციას დაუპირისპირა საქართველოს სსრ კონსტიტუცია.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც დაემხო 1992 წლის 2 იანვარს, წარმოადგენდა სამართალმემკვიდრეს არა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, არამედ 1921 წლის 25 თებერვალს გამოცხადებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა. ამით იგი აღიარებდა არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, არამედ იცავდა საქართველოს სსრ 1922, 1927, 1937 და 1978 წლების კონსტიტუციების ტოტალიტარულ პრინციპებს და წარმოადგენდა არა საქართველოს პარლამენტს, არამედ ამ კონსტიტუციების საფუძველზე შექმნილი ხელისუფლების უშუალო მემკვიდრეს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს, იმავე წლის 31 მარტს გამართული რეფერენდუმის საფუძველზე, მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც იგი აღადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე და ცნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის იურიდიულ ძალამოსილებას. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ რეალურად არ განახორციელა მის მიერვე დეკლარირებული პრინციპი. საქართველოს ხელისუფლებამ უარყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობითობა, არ აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენის ნაცვლად საქართველოში ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა.

1991 წლის 22 დეკემბერს პრეზიდენტმა, რომელმაც ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა, ხალხის წინააღმდეგ დაიწყო ომი და კანონზომიერად დამარცხდა.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს, რომელიც ამჟამად წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებას, მიაჩნია, რომ არ შეიძლება ერთი უკანონო ხელისუფლების შეცვლა მეორე, ასევე უკანონო, ხელისუფლებით და აუცილებელია საქართველოში კანონიერი, კონსტიტუციური ხელისუფლების აღდგენა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო აცხადებს:

1. საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის ამოქმედებას დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები გაიმართება არა უგვიანეს 1992 წლის შემოდგომისა საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების შესაბამისად.

3. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო, დროებით მთავრობასთან ერთად, თავის უფლებამოსილებას მოიხსნის საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის წინაშე მის პირველსავე სხდომაზე.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრები:
თენგიზ კიტოვანი **ჯაბა იოსელიანი,**
ქ. თბილისი, 1992 წლის 21 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში კანონმდებლობის მოქმედების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობისა და დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით მისი ამოქმედების აღიარებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო ადგენს:

1. მოქმედი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს დღემდე არსებული კანონმდებლობა, გარდა მისი იმ ნაწილებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობას, მოქმედი კანონმდებლობა შეუსაბამოს საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს.

სამხედრო საბჭოს სახელით: **თ. კიტოვანი, ჯ. იოსელიანი**
ქ. თბილისი, 1992 წლის 24 თებერვალი.

დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია: ახალი სიცოცხლე

მრავალწლიანი უკანონობისა და განუკითხაობის შემდეგ საქართველოში კვლავ იზეიმა სამართლიანობამ — 1992 წლის 21 თებერვალს საქართველოს სამხედრო საბჭომ ბატონების თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის შემადგენლობით ხელი მოაწერა დეკლარაციას ერთა ლიგის მიერ ცნობილი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. ეს მოხდა საქართველოს ეროვნული კონგრესის საგანგებო სესიაზე, რომელიც ღირსშესანიშნავ თარიღს — 1921 წლის კონსტიტუციის 71-ე წლისთავს მიეძღვნა.

მანამდე კი მოვლენები ამ მართლაცდა განსაკუთრებულ და, როგორც გამოვლინდა, ისტორიულ თავყრილობაზე ერთგვარად მოულოდნელად განვითარდა. საქართველოს ეროვნული კონგრესის საგანგებო სესიის მოწვევა მიზნად ისახავდა მსჯელობას ეროვნული კონგრესის, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს მიერ ქვეყნის ამჟამინდელ ხელისუფლებასთან — სამხედრო საბჭოსთან ერთად საქართველოს ერთადერთი კანონიერი კონსტიტუციის აღდგენის საკითხზე.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ ბატონმა მიხეილ ქურდიანმა დაწვრილებით მიმოიხილა საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი მუხლები, აღნიშნა ზოგიერთ მათგანში ამჟამინდელი რეალური სიტუაციიდან გამომდინარე შესწორებების შეტანის აუცილებლობა.

ბატონმა ჯაბა იოსელიანმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედება მიაჩნია საქართველოში კანონიერების აღდგენის ერთადერთ გზად. მაგრამ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ საერთაშორისო სამართლის უზენაესობა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო დარჩება საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიღმა.

თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს გიორგი სიხარულიძემ, თემურ ფიფიამ, ქართლოს ღარიბაშვილმა, ვაჟა მთავრიშვილმა, თენგიზ შარმანაშვილმა, ირაკლი წერეთელმა, გიორგი ყორღანაშვილმა, ირაკლი ბათიაშვილმა.

ბატონმა თენგიზ კიტოვანმა დამსწრეთ გაუზიარა თავისი ურყევი დამოკიდებულება კონსტიტუციის აღდგენის მიმართ. აღნიშნა, რომ სწორედ ამას ისახავდა მიზნად ქართული ეროვნული მოძრაობა და 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედება ამ მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

სესიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ 1921 წლის კონსტიტუციის ზოგიერთ პუნქტში გასათვალისწინებელია დღევანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობა. ამრიგად საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე აღდგა კანონიერი კონსტიტუციის ძალმოსილება.

სხდომის დამთავრებისთანავე ჩამორთმეულ ექსპრეს-ინტერვიუში ბატონმა **ჯაბა იოსელიანმა** თქვა:

— კონსტიტუციის აღდგენის საკითხი იმდენად იყო მომწიფებული, რომ მისი გადადება და გაჭიანურება უკვე აღარ შეიძლებოდა. ამ საკითხზე დიდი ხნის განმავლობაში ზედმიწევნით კარგად და ნაყოფიერად იმუშავა საქართველოს ეროვნულმა კონგრესმა და დღევანდელი აქტი მთელი ჩვენი 70-წლიანი და, განსაკუთრებით ბოლოდროინდელი ისტორიის სრულიად ლოგიკური და კანონზომიერი შედეგია.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

სიტყვა საკონსულტაციო პოლიტიკური საბჭოს წევრს

მთავარია ეკონომიკური აღორძინება

თამაზ ჯანელიძე, პროფესორი

როგორ ვუშველოთ საქართველოს?

ჩვენ უკვე მოვიპოვეთ პოლიტიკური სუვერენიტეტი, მაგრამ იგი რომ რეალური გახდეს, აუცილებელია ეკონომიკური სუვერენიტეტის მოპოვებაც. ამ მხრივ კი საქმე სახარბიელოდ ვერა გვაქვს.

პოლიტიკური მართვის სტრუქტურა დღეს იმგვარად ყალიბდება, რომ იგი ხელს უწყობს ზნეობის, კულტურის, ინტელექტუალური დემოკრატიის დამკვიდრებას (ანუ სუვერენიტეტის დაყვანას ყოველ პიროვნებამდე). ყველაფერი ეს საჭიროა მსოფლიოს მაღალგანვითარებული ნაწილის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში ჩართვისათვის.

შედარებით მცირე სახელმწიფოებისათვის ოპტიმალური განვითარების კონცეპტუალური პროგრამის ჩამოყალიბება განსაკუთრებით რთულია. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ჩვენი ჯამური პოტენციალის შეფასება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით (რა გვაქვს საერთოდ, რა გვაქვს მაღალ დონეზე), რათა შეწყდეს არაკომპეტენტური შეფასებები და რეკომენდაციები — „რა გავყიდოთ“.

დროულად უნდა განისაზღვროს და დასაბუთდეს ყველა ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების გზები, ჩამოყალიბდეს მოთხოვნები სახალხო მეურნეობის ოპტიმალური სტრუქტურისა და ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის, განისაზღვროს ტექნოლოგიების დონე და ისიც, თუ რამდენად მისაღებია ისინი ეკოლოგიურად ჩვენთვის, ჩამოყალიბდეს პრიორიტეტები და სხვა. ყველა ეს საკითხი უნდა ეთანხმებოდეს მაღალგანვითარებული ქვეყნების პარამეტრებს და მათი შემდგომი განვითარების ტენდენციებს. მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტივების არარსებობა მძიმე შეცდომებს გამოიწვევს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა უნდა გავაკეთოთ და რა — არა.

მოდელზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს მუდმივად, მაქსიმალურად კომპეტენტურ დონეზე, ხოლო საბოლოო შეფასებისათვის საერთაშორისო ექსპერტები უნდა გამოვიყენოთ.

ძალზე საჭირო და საშური საქმეა სახალხო მეურნეობის ოპტიმალურ რეჟიმზე გადაყვანა, ე. ი. თვითრეგულირებადი საბაზრო ურთიერთობის ორგანიზაცია. დაყოვნება აქ ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს. მაგრამ საბაზრო ეკონომიკა შეუთავსებელია გლობალურ დეფიციტთან. ამგვარად, პირველხარისხოვანი ამოცანაა გლობალური დეფიციტის ლიკვიდაცია.

კრიზისიდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის აბსოლუტიზაცია და არა პარტიული, ჯგუფური, პირადი განწყობის თუ სხვა პრინციპები.

ბუნებრივია, რომ მომავალი სუვერენული რესპუბლიკის ეკონომიკა საქმიანობის ყველა სფეროში ავანგარდულ ტექნოლოგიებს უნდა ეყრდნობოდეს. სამწუხაროდ, ოთხმოციან წლებში დაწყებულმა სამუშაოებმა, რომლებიც ძირითადად ეყრდნობოდა ჩვენი მეცნიერების მიერ შემუშავებულ ტექნოლოგიურ პროცესებს და მართვის თანამედროვე მაღალეფექტიან მეთოდებს, ვერ პოვეს საჭირო მხარდაჭერა და ვერ იქცნენ, როგორც ეს გათვალისწინებული იყო, მთელი სახალხო მეურნეობის საერთაშორისო დონეზე აყვანის რეალურ საშუალებად (მაგალითად, პროგრამები: „კომპოზიციური სისტემები“, „რთველი“, „ჩაი“, „ფარმაკოქიმია“, „გადახურვები“ და სხვა).

ამ პროგრამებს ხელმძღვანელობდნენ მაღალკვალიფიციური მეცნიერები და სამეცნიერო ორგანიზაციები. სწორედ ამან განაპირობა საწყისი მაღალი შედეგები და ყველა გადაწყვეტილების კომპეტენტურობა.

ახლა ხშირად გვესმის: რად უნდა საქართველოს ამდენი კვლევითი ინსტიტუტი მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ავირჩიოთ რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება და მხოლოდ ის განვავითაროთო. ვფიქრობ, ეს მცდარი შეხედულებაა. თავის დროზე საკავშირო ორგანოები იმიტომ დაგვთანხმდნენ ამდენი ინსტიტუტისა და მათი სათანადო მატერიალური ბაზის შექმნაზე, რომ საქართველოში იყო მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი და ახალგაზრდობა მეცნიერულ მოღვაწეობას ესწრაფვოდა.



50-იან წლებში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია განხორციელდა. საბჭოთა კავშირში იგი ძირითადად იმ დარგებს შეეხო, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის სამხედრო პოტენციალის ზრდასთან. სახალხო მეურნეობის სხვა დარგების დაბალმა სამეცნიერო მომსახურებამ, ასევე სახელმწიფო საქმიანობაში გამეფებულმა ვოლუნტარიზმმა გამოიწვია კომპეტენტურობის დონის დაცემა და ბოლოს — უძრაობაც.

ამას დაერთო მეცნიერთა დაბალი ხელფასი (განსაკუთრებით იმათი, ვისაც არ ჰქონდა სამეცნიერო ხარისხები და წოდებები), სუსტი ექსპერიმენტული ბაზა, სამსახურებრივ იერარქიაში ნელი წინსვლა და უმაღლეს ეშელონებში შეღწევის შანსი მხოლოდ მოწიფულ ასაკში. ახალგაზრდობის აქტიური ნაწილისათვის მეცნიერება ნაკლებ პერსპექტიული და პრესტიჟული გახდა.

90-იანი წლების დამდეგს შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა სამეცნიერო დაწესებულებებში, რადგან კომპეტენტურ მუშაკთა ძირითადი მასა, რომელმაც მოღვაწეობა დაიწყო ომისშემდგომ წლებში, გარკვეული ასაკის მიღწევის გამო, მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო მისი მომდევნო თაობა ჭერჭერობით ჩამორჩება შემოქმედებითი პოტენციალით, შრომისმოყვარეობითა და კომპეტენტურობით. ამის შედეგად შესრულებული სამეცნიერო სამუშაოების დონემ დაიწია და შემცირდა შანსი გარღვევისა მსოფლიო დონეზე, მეცნიერების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებით.

(დასასრული მე-2 გვ.)

ნომერში:

- როგორ და რით უნდა დავამუშაოთ მიწა: თოხით, გარით თუ ტრაქტორით... მე-2 გვ.
- დმანისში საშიში მაფია ბატონობს. მე-3 გვ.
- „ოვირი“ ახალ ფუძეზე დამკვიდრდა. მე-4 გვ.

ტელეტაიპის ლენტიდან

ედუარდ შევარდნაძე ვენაში

აქ მყოფი საგარეო-პოლიტიკური ასოციაციის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ავსტრიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ჰაინც ფიშერს.

საუბრის დროს, რომელმაც გულახდილ, ნდობით აღსავსე ატმოსფეროში ჩაიარა, განიხილეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აგრეთვე საქართველოში, ევროპასა და საერთოდ მსოფლიოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებული ფართო წრის საკითხები. თანამოსაუბრეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა უსწრაფესად მოწესრიგდეს კონფლიქტები საქართველოსა და ყოფილი სსრ კავშირის სხვა „ცხელ წერტილებში“.

ე. შევარდნაძე შეხვდა ვენაში მყოფ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰანს-დიტრიხ გენშერს, რომელმაც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს გაუზიარა ევროპის არქიტექტურის ახალი სტრუქტურების შექმნის გეგმები.

გერმანიის მინისტრმა გამოიკითხა, თუ რა ვითარებაა საერთოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აგრეთვე საქართველოში. მისი თქმით, გარკვეულ პირობებსა და ვითარებაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუძლია დახმარება და მხარდაჭერა გაუწიოს საქართველოს.

კიდევ გაძვირდება თუ არა ავიაბილეთები?

რესპუბლიკაში არსებული სათბობის დეფიციტის გამო საქართველოს ავიაკომპანია „ივერიის“ თვითმფრინავები რესპუბლიკის გარეთ დაფრინავენ მხოლოდ ოთხი ქალაქის მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, ოდესისა და სიმფეროპოლის მიმართულებით. ხოლო საწვავის და სააეროდრომო მომსახურების ხარჯების გაზრდასთან დაკავშირებით შუალედური ავიარეისების ბილეთების ღირებულება დროთა განმავლობაში გაიზრდება. ეს საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს აცნობა ავიაკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ჭანკვეტაძემ.

— ვფიქრობ, რომ მინისტრთა კაბინეტი, — აგვიხსნა მან, — ამას გაგებით მოეკიდება. საკითხის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება პილოტების ხელფასი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

დამტკიცდა საკრებულოთა გამგეობები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით:

დამტკიცდა **თერჯოლის რაიონის** საკრებულოს გამგეობის შემადგენლობა: თამაზ ბრეგაძე — გამგეობის თავმჯდომარე, ილან ზარნაძე — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, დემურ დოლაკიძე, გურამ კუპატაძე, გივი ფხალაძე, ავთანდილ ჩუბინიძე, აკაკი ჯანელიძე — გამგეობის წევრები.

დაწესდა **ადიგენის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — რაიონის გამგეობა.

დამტკიცდა ფრიდონ პარუნაშვილი ადიგენის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად და დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

მიღებულია **ზესტაფონის რაიონის** ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დ. კოზირიძის წინადადება და დამტკიცდა ზესტაფონის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს შემადგენლობა: ვახტანგ პირველაშვილი — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, იუზა ცქიტიშვილი, ვლადიმერ მაღლაკელიძე, ამირან კაკაურიძე, დავით ვარდოსანიძე, თამაზ ბეჟუაშვილი — გამგეობის წევრები.

მიღებულია **ქ. ტყიბულის** ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — ქალაქის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის რ. ჭეიშნაძის წინადადება და დამტკიცდა ქ. ტყიბულის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს შემადგენლობა: ომარ ცნობილაძე — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ჯემალ სულიაშვილი, ჯემალ სტურუა, ბონდო კუბლაშვილი, დათო ჯიშიაშვილი, ვაჟა ჯანელიძე — გამგეობის წევრები.

დაწესდა **ლენტეხის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — ლენტეხის რაიონის გამგეობა.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 11 თებერვლის დადგენილების თანახმად დამტკიცდა ვახტანგ ოხიანი ლენტეხის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

დაწესდა **ყვარლის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — რაიონის გამგეობა.

დამტკიცდა სანდრო სეფაშვილი ყვარლის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

დამტკიცდა ნოდარ ებანოიძე **ხარაგაულის რაიონის** საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარედ. მას დაევალა აირჩიოს გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

დაწესდა **ვანის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — ვანის რაიონის გამგეობა.

დამტკიცდა ვანის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ზურაბ ახვლედიანი, ბადრი მებურიშვილი — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, ოთარ ნანობაშვილი, ავთანდილ კანკაძე, ამირან ჯამუტია, გიორგი ჩახუნაშვილი, ლევან ჯოგლიძე — გამგეობის წევრებად.

დაწესდა **წალკის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — რაიონის გამგეობა.

დამტკიცდა დიმიტრი ინაყოვი წალკის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

ყველა ზემოაღნიშნულ ქალაქსა და რაიონში გაუქმებულად ჩაითვალა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დროებითი რწმუნებულის თანამდებობა.

სიტყვა საკონსულტაციო პოლიტიკური საბჭოს წევრს

მთავარია ეკონომიკური აღორძინება

თამაზ ჯანელიძე, პროფესორი.

როგორ ვუშველოთ საქართველოს?

(დასასრული)

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამუხრუჭებს მეცნიერების განვითარებას ბოლო ათწლეულებში, გახლავთ პრაქტიკაში სამეცნიერო მიღწევების დანერგვის ნელი ტემპი. აქ, გარდა ბიუროკრატიული ზღუდეებისა და სუსტი მატერიალური წახალისებისა, დიდ როლს ასრულებს ისიც, რომ არ გვაქვს სამამულო ტექნოლოგიური მოწყობილობები. ამის შედეგად მრავალი თვალსაჩინო მეცნიერი და მისი კოლექტივი შეზღუდულია მხოლოდ ლაბორატორიული კვლევებით, უკეთეს შემთხვევაში — ნახევრადსაწარმოო გამოცდებით, და ეს აფერხებს ტექნოლოგიების განუწყვეტელ სრულყოფას: რადგან პრაქტიკაში გასვლა ერთადერთი კრიტერიუმია ნებისმიერი ტექნოლოგიის ტექნიკური თუ ეკონომიკური ეფექტიანობისა და მისი მომავლის სრულყოფის სტიმულია. დღეს ჩვენი აღმასვლის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ისეთი სამეცნიერო პოტენციალის შექმნა, რომელიც დააჩქარებს მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარებას და მთელი რიგი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მიღწევათა დონეზე.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად გრძელვადიანი ღონისძიებებია საჭირო. სახელდობრ:

— მკვეთრად უნდა ამაღლდეს ახალგაზრდების მომზადების ზოგადსაგანმანათლებლო და ვიწროსპეციალური დონე, ამისათვის სწავლების პროცესში უნდა განითესოს ჩამორჩენილები, ვინც წარმატებით სწავლობს, საჭიროა მათი მიზიდვა კვლევით სამუშაოებში. ამასთან უნდა განმტკიცდეს კავშირი მაპროფილებელ კვლევით ინსტიტუტებთან იქამდეც კი, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მოეწყოს სპეციალიზებული კვლევითი ინსტიტუტები და სამეცნიერო ცენტრები. ყველაზე კარგი სტუდენტები უნდა გაიგზავნოს უცხოეთის მოწინავე სამეცნიერო ცენტრებში სტაჟირების გასავლელად.

— უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მეცნიერთა ხელფასის მომატება 100-150%-ით მაინც, ნაწილობრივ, ინსტიტუტების ხელფასის ფონდის ხარჯზე, შემცირდეს მათი შტატები ბალასტის ხარჯზე, მოხდეს კომპეტენტური, შრომისმოყვარე, შემოქმედებითი პოტენციალის მქონე მუშაკთა კონცენტრაცია.

—დამუშავდეს მიზნობრივი, უწყებათაშორისი პროგრამები მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, უზრუნველყოფილ იქნეს ისინი სათანადო დაფინანსებით და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. მიზნობრივ პროგრამებს საფუძვლად დაედოს რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციები. ისინი უნდა ეყრდნობოდნენ რეალურად არსებულ ბუნებრივ რესურსებს და განაპირობებდნენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტრუქტურულ და ტაქტიკურ ამოცანებს.

— მეცნიერული მიღწევების და დამუშავებათა წარმატებით რეალიზაციისათვის აუცილებელია სახელმწიფო აქციონერულ გაერთიანებათა, აქციონერულ ასოციაციათა, კონცერნების, ერთობლივი საწარმოების და სხვათა შექმნისას მათ სტრუქტურებში ჩამოყალიბდეს სხვადასხვა მასშტაბის სამეცნიერო ცენტრები, რომელთაც უნდა უზრუნველყონ ამა თუ იმ პროფილის საწარმოთა მუშაობა და განვითარება მაღალპროფესიულ და კომპეტენტურ დონეზე.

ახლა საკითხთა მეორე ჯგუფის შესახებ: მოგეხსენებათ საქართველოში მძიმე მრეწველობა საკმაოდ განვითარებული იყო. ჩვენ გვაქვს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილისის საავიაციო ქარხანა, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, თბილისის ჩარხმშენებელი ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, ბათუმის და ფოთის გემთსაშენი ქარხნები, რუსთავის ქიმიური კომბინატი, ჭიათურის მარგანეცის ტრესტი და სხვა. მათ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება ახლაც. მაგრამ უბედურება ის არის რომ ისინი ჩაბმული იყვნენ სსრ კავშირის ერთიან ეკონომიკურ სისტემაში და დაკავშირებული იყვნენ მრავალ სხვა საწარმოსთან, თანაც კოოპერირების დონე მაღალი იყო (რაც თავისთავად ვერ ჩაითვლება უარყოფით მხარედ). მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა და ეს კავშირები დაირღვა, ამიტომ ბევრი მათგანი დღეს დიდ სიძნელეებს განიცდის, ამდენად, ჩვენ დღეს უნდა ვიზრუნოთ ახალი კავშირების დამყარებაზე, ზოგი ძველის აღდგენაზე. ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ ისიც, რომ ეს წარმოებები დაკომპლექტებულია სათანადო საინჟინრო პერსონალით, მაღალკვალიფიციური მუშა-ხელით, აქვთ საკმარისი საწარმოო ფართობები, ინფრასტრუქტურა. სამწუხაროდ, ტექნოლოგიური მოწყობილობის დიდი ნაწილი მოძველებულია, გასაახლებელი. ამას კი სჭირდება ფართო ინვესტიციები. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ „ჯენერალ მოტორსთან“, „მერსედესთან“ ან „ტოიოტასთან“ დაამყაროს კავშირი, შეარჩიოს ისეთი მოდელები ავტომობილებისა, რომლებზეც დღეს დიდი მოთხოვნაა, და სათანადო უცხოური ტექნოლოგიების დანერგვით გამოუშვას მანქანები, რომლებსაც მთელი მსოფლიო იყიდის. მოგების განაწილებაც შეიძლება შეთანხმებით მოხდეს, ისე, რომ ეს ორივე მხარისათვის სარგებლიანი იყოს.

თუ ასეთ გზას არ დავადექით, ის დიდი პოტენციალი, რომელიც ჩვენ გვაბადია, გამოუყენებელი დაგვრჩება, უფრო მეტიც: მათ დეგრადაცია ელის.

ამას უკავშირდება კიდევ ერთი საკითხი. აუცილებლად საჭიროა მთავრობის დეკრეტი საწარმოს შესახებ (მოგვიანებით, პარლამენტის არჩევის შემდეგ — „კანონი საწარმოს“ შესახებ). ზოგიერთის აზრით, ამ საკითხებს მოიცავს კანონი „მეწარმეობის შესახებ“, მაგრამ ეს ასე არ არის. საწარმოს უნდა მიეცეს სრული ავტონომია (ე. ი., ეს არ გულისხმობს სახელმწიფო შეკვეთების უარყოფას), მას თავის მოქმედების სფეროში უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება, არავიზე დამოკიდებული არ უნდა იყოს, სახელმწიფოსთან მას ექნება ურთიერთობა მხოლოდ გადასახადის სახით. ეს დეკრეტი უნდა ეხებოდეს დიდსა და პატარა საწარმოებს, მიუხედავად საკუთრების ფორმისა: ქარხანას, ინსტიტუტს, კონცერნს თუ სხვა რამ ორგანიზაციას.

წარმოების სპეციალიზაცია შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა. იგი დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან, საწარმოო ძალთა განვითარებასთან.

თავის დროზე საქართველოში საკმარისად მაღალეფექტიანად მუშაობდა ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: „საქჩაი“, „სამტრესტი“, „საქტუნგი“, „საქხილმიწწყალი“, „საქმარმარილო“ და სხვა. ესენი იყო სპეციალიზებული, მაღალორგანიზებული ორგანიზაციები, რომელთაც, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, ჩამოყალიბებული ფორმების სახე და თავისი სამეურნეო კავშირები ჰქონდათ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათი პროდუქცია საკმაოდ მაღალხარისხოვანი იყო. ბოლო ათწლეულებში მათ ათასგვარი რეორგანიზაცია განიცადეს და სულ დაკარგეს სახე, ყოვლად უნიათოდ გამოიყურებოდნენ სხვადასხვა ხელოვნურ გაერთიანებებში. ჩვენ მოვსპეთ სპეციალიზაცია, გადავაყოლეთ რეორგანიზაციის სალერღელს ჩვენი ეკონომიკის მედროშენი.

დეკრეტი „საწარმოს შესახებ“ სწორედ ყველაფერს ამას ეფექტიანად მოუყრის თავს.

მოგეხსენებათ, რა მწვავე ენერგეტიკულ კრიზისს განიცდის დღეს საქართველო. სხვათა შორის, ასეთი მასშტაბებით არა, მაგრამ ეს დეფიციტი ჩვენთან ყოველთვის იყო. საქმე ის არის, რომ ენერგეტიკის განვითარების ტემპი საქართველოში ყოველთვის ჩამორჩებოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპს. ამჟამად კი საქმე კატასტროფამდეა მისული, თანაც ეს გახლავთ გრძელვადიანი მოქმედების ფაქტორი. თავის დროზე შემთხვევით არ იდგა საქართველოში ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის საკითხი. ჩვენ მასზე უარი ვთქვით და, ალბათ, სწორადაც. მაგრამ ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერება დიდი ვერაფერი ჭკუა იყო. ყურით მოთრეული ეკოლოგიური ფაქტორები საერთოდ არ არსებობს: ხუდონჰესის კაშხალი ნატანის ჩამოტანას შავ ზღვაში ვერ შეზღუდავს, რადგან იგი უკვე შეზღუდულია ენგურჰესის კაშხლით. ხოლო ტენიანობის ამაღლების საკითხი „ხუდონის ზღვის“ მიდამოებში საერთოდ არ არსებობს. სიგრძით 1,5 და სიმაღლით 0,5-1 კმ-ზე ტენიანობის აწევა 1-2%-ით საერთოდ არ არის მხედველობაში მისაღები. ანალოგიური მდგომარეობაა ნამახვანჰესის საკითხშიც.

მართალია, ჰესები ჩვენ ახლა საკუთარი ფულით უნდა ვაშენოთ, მაგრამ სხვა გზა ჯერჯერობით არა ჩანს.

იმედების დამყარება არატრადიციულ ენერგეტიკულ წყაროებზე, როგორიცაა ქარის, მზის, მცირე ჰესების — სტრატეგიულ ამოცანებს ვერ გადაწყვეტს, მათ მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

კიდევ ერთი უბედურება გვჭირს: ბევრი ჩვენი ხელმძღვანელი (და არამარტო ხელმძღვანელი) გადაერთო მხოლოდ პოლიტიკური საკითხების განხილვა-გადაწყვეტასა და მოგვარებაზე. ამ დროს ეკონომიკა — საფუძველთა საფუძველი ბევრს აღარც ახსოვს. მაგრამ თუ ჩვენ სახალხო მეურნეობა, ქარხანა, სოფელი, მშენებლობა, ინსტიტუტი კარგად ვერ მოვაწყვეთ, ისე წინ ვერ წავალთ.

ახლა თავს ნებას მივცემ და ზოგიერთ პოლიტიკურ ასპექტზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას:

აქა-იქ გაისმის ხმები სამხედრო საბჭოს გადადგომის აუცილებლობაზე.

სხვათა შორის ამას თვით სამხედრო საბჭოს წევრების ზოგიერთმა განცხადებამაც შეუწყო ხელი. ძალაუფლების აღების შემდეგ სამხედრო საბჭომ საკმაოდ სწრაფად (მე ვფიქრობ ცოტა აჩქარებულადაც) განაცხადა, რომ სტაბილიზაციის მიღწევისთანავე იგი გადადგება და ძალაუფლებას გადასცემს დროებით მთავრობას. მოვლენათა დაჩქარება ამ საქმეში მე მიზანშეწონილად არ მიჩვენება.

ასევე ჩქარობენ სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა პარლამენტის არჩევნების ჩატარებას, ეს გასაგებიცაა: სურთ მძიმე ტვირთის პარლამენტზე გადანაწილება, ასახელებენ თარიღსაც: მაისი-ივნისი. ზოგი შემოდგომაზეც ფიქრობს ამ არჩევნების გადატანას.

მთავარი ის არის, რომ არავითარი არჩევნები არ შეიძლება სრულ სტაბილიზაციამდე. თუ საზოგადოებაში არ დამყარდა ნორმალური შემოქმედებითი შრომითი რიტმი, სიწყნარე და სიმშვიდე — ჩვენ ისეთსავე სამარცხვინო პარლამენტს ავირჩევთ, როგორიც ერთხელ უკვე ავირჩიეთ.

თავისთავად არჩევნების ჩატარება ვერ იქნება სტაბილიზაციის ფაქტორი. არასტაბილურ მდგომარეობაში სტაბილიზაციის ფაქტორი იქნება არჩევნების დღის დანიშვნა, ნორმალური საარჩევნო კანონის მიღება, საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის გადაწყვეტა, კონსტიტუციის პროექტის მომზადება (და ამისათვის კარგი საფუძველი შეიძლება იყოს 1921 წ. კონსტიტუცია), ნორმალური საარჩევნო კომპანიის ჩატარება ცივილიზებული დებატებითა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის გზით. და ბოლოს — პარლამენტის არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება. ყოველივე ეს, ჩემი ღრმა რწმენით, შეიძლება მოესწროს მხოლოდ მომავალი წლის გაზაფხულისათვის. ყოველივე ეს უნდა იტვირთოს სამხედრო საბჭომ და დროებითმა მთავრობამ საკონსულტაციო პოლიტიკური საბჭოს და ყველა პოლიტიკურ პარტიასთან და ორგანიზაციასთან, ასევე საზოგადოებრიობის ფართო ფენებთან კონსულტაციებისა და დიალოგის გზით. ეს აშკარად შეუწყობს ხელს რეალური პოლიტიკური სტაბილიზაციის დამყარებას. რაც შეეხება ეკონომიკურ სტაბილიზაციას, ეს უფრო რთული ამოცანაა და მას მეტი დრო დასჭირდება.

რაც შეეხება სამხედრო საბჭოს, აქ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მის რეორგანიზაციაზე უშიშროების საბჭოდ და მის წევრთა რაოდენობის ოდნავ გაზრდაზე. ფუნქციათა სპექტრიც, ცხადია, გაფართოვდება. სამხედრო საბჭოს გარდა, დღეს საქართველოში არ არსებობს რაიმე რეალური პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია მართოს ქვეყანა და უზრუნველყოს მისი დემოკრატიული განვითარება.

როდესაც უშიშროების საბჭოს შემადგენლობის გაზრდაზე ვლაპარაკობთ, მე ვგულისხმობ. ე. შევარდნაძეს.

დღეს იგი მსოფლიოში უმაღლესი რანგის ცნობილი და სახელმოხვეჭილი მოღვაწეა. მთელი მსოფლიო მას აღიარებს როგორც უდიდეს პოლიტიკოსს, ინტელიგენციის დიდ მფარველს, დემოკრატიული ძალების ერთ-ერთ ლიდერს. ამას თუ დავუმატებთ მის მრავალმხრივ ორგანიზატორულ ტალანტს, ცხადი იქნება, რომ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას ის დღეს დიდად სჭირდება. მე ისიც მესმის, რომ საზოგადოების ერთ ნაწილში არსებობს მისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, ზოგჯერ საფუძვლიანი, უმეტესად — უსაფუძვლო. ჩვენ ყველა უნდა ავმაღლდეთ ჩვენს პირად დამოკიდებულებაზე და ვთხოვოთ მას მიიღოს უშუალო მონაწილეობა ახალი საქართველოს შენებაში.

მისი საქართველოში ჩამოსვლა და მოღვაწეობა თავისთავად უზრუნველყოფს დიდი ინვესტიციების მოზიდვას ჩვენს ეკონომიკაში (ურომლისოდაც ჩვენ ვერაფერს გავხდებით), მეორე მხრივ, საქართველო მოექცევა ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ორბიტაზე მსოფლიოში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. არც ერთი სხვა ერი არ დაუშვებს, რომ ასეთი რანგის მოღვაწე თავისი ქვეყნის სამსახურში არ ჩააყენოს.

ზოგი ამბობს, დროებითი მთავრობა და სამხედრო საბჭო არ არის ლეგიტიმური და სწორედ ეს ქმნის გადაულახავ სიძნელეებს. ამის დასამტკიცებლად აწ განსვენებული პარლამენტის რეანიმაციასაც გვთავაზობენ. ფუჭი და უპერსპექტივო გზაა. სხვათა შორის, საქართველოს დროებითი მთავრობის „არალეგიტიმურობამ“ სრულიად არ შეუშალა ხელი საქართველოს ცნობას 26 სახელმწიფოს მიერ.

და ბოლოს: საუკუნეების მანძილზე ქართულ სახელმწიფოს ნაკისრი ჰქონდა მსოფლიო ისტორიული მისია: იგი იყო ქრისტიანობის ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში და ამ ფუნქციას ხმლითა და გონებით, კულტურითა და განათლებით წარმატებით (ზოგჯერ მარცხითაც) ასრულებდა. სწორედ ამიტომ ერი მუდამ შემართული იყო. საბჭოთა კავშირში შესვლის შემდეგ ჩვენ ეს ფუნქცია მოგვეშალა. იგი მოიხსნა საერთოდ, რადგან დიდმა სახელმწიფომ გარეშე მტრის, უმთავრესად ისლამურ თარეშს, ბოლო მოუღო. ამას ისიც დაერთო, რომ თუ განვლილ პერიოდში რელიგიურმა მრწამსმა დევნა განიცადა, უპირველესად იგი შეეხო ქრისტიანობას, ერის შემკავშირებელ დიდ ძალას.

დღეს სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. ეროვნული სუვერენიტეტის და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების რთულ ვითარებაში, ახლა რომ ვიმყოფებით, ისახება ქართული სახელმწიფოსათვის თავისი მსოფლიო ისტორიული დანიშნულების მოპოვების ტენდენციები, რასაკვირველია, უკვე სხვა შეფერილობითა და დანიშნულებით. (აქ, სხვა ფაქტორებთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა).

ყოველივე ეს რომ მოხდეს, საჭიროა მივაღწიოთ ეკონომიკურ აღორძინებას. ჩვენ დღეს წინააღმდეგობათა გაღრმავება კი არ გვჭირდება, არამედ საზრიანი, ყოველდღიური შრომა და ახალი საქართველოს შენება.

აღდგა!..

საქართველოს ეროვნული კონგრესისა და საქართველოს პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს განცხადება

21 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში საზოგადოება „ცოდნას“ დარბაზში გაიმართა საქართველოს ეროვნული კონგრესისა და საქართველოს პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კონსტიტუციის მიღების სამოცდამეთერთმეტე წლისთავს. საგანგებო სხდომამ რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელები ბატონები: თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი, მიიღო საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მოქმედების გავრცელების შესახებ.

ამიერიდან საქართველოში კვლავ მოქმედებს საქართველოს კანონიერი სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლური უნივერსალური სამართლებრივი აქტი — „საქართველოს კონსტიტუცია“. საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებით საქართველოში წერტილი დაესვა სამოცდათერთმეტწლიანი ანტიკონსტიტუციური და არასამართლებრივი სახელმწიფოებრიობისა და ხელისუფლების არსებობას. აღდგენილ იქნა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც დე-ფაქტოდ და დე-იურედ ცნო ერთა ლიგამ და მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ. საქართველოს ეროვნული კონგრესისა და საქართველოს პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭო მადლობას უცხადებს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს, რომელმაც ისტორიული გმირობა გამოიჩინა და იკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე აამოქმედებინა საბჭოთა შეიარაღებული აგრესიის შედეგად შეჩერებული კანონიერი, სამართლებრივი, დემოკრატიული და სუვერენული სახელმწიფოებრიობა საქართველოსი.

1992 წლის 29 თებერვალს, მომავალ შაბათს, საქართველოს დედაქალაქში, სპორტის სასახლის დიდ დარბაზში გაიმართება სამოქალაქო სახალხო შეკრება ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით. სახალხო სამოქალაქო შეკრებაზე მოწვეულნი არიან წარმომადგენლები შემდეგი ორგანიზაციებიდან:

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო;
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი;
საქართველოს სამოციქულო ეკლესია;
საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია;
საქართველოს ეროვნული კონგრესი;
საქართველოს პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭო;
საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია;
საქართველოს ყველა შემოქმედებითი კავშირი;
საქართველოს რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებელი.

სახალხო სამოქალაქო შეკრება დაიწყება 11 საათზე.

საქართველოს ეროვნული კონგრესისა და საქართველოს პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭო.

ცხინვალი—ქურთა—აჩაბეთი...

სურსათით დატვირთული ავტომანქანების კოლონა სამაჩაბლოს ესტუმრა

ვაჟა გურჩიანი.

უკანასკნელი თვეების ტრაგიკულმა ამბებმა ლამის დაგვავიწყა ბლოკადაში მოქცეული ჩვენი სისხლისა და ხორცის — სამაჩაბლოს მოსახლეობის ბედი.

ცხინვალიდან და მის ახლომახლო სოფლებიდან აყრილი და დღეს მთელს საქართველოში ვის კარზე აღარ შეხიზნული ქართული მოსახლეობა ჩვენ თვალწინ არის. გორში, მაგალითად, 6400-მდე სამაჩაბლოელი ლტოლვილია. ისინი ცხოვრობენ სასტუმროებში, ტურბაზებში, სკოლა-ინტერნატებში, მათი ჭამა-სმისა და ყოფა-ცხოვრების საკითხებზე ზრუნავენ ქალაქის საკრებულოს გამგეობა და მისი სამსახურები, აღარაფერს ვამბობთ საქველმოქმედო ღონისძიებებზე, შემოწირულობაზე, სხვა ჰუმანიტარულ დახმარებაზე. და მაინც, ლტოლვილი ლტოლვილია და ყოველი ოჯახის ისტორია ცრემლიანი დრამაა. კიდევ უფრო ცრემლიანია სამაჩაბლოში დატოვებული ჩვენი მძევლების — ოსური სოფლებით შემორკალული და ვლადიკავკაზიდან ჩამოსული „ბოევიკების“ სათარეშო დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქართული სოფლების ბედი, რომლებიც დღეს მხოლოდ თავისი თავის იმედად არიან — საკუთარი ძალებით უმკლავდება ყოველნაირ გაჭირვებას — უგზოობას, უშუქობას, უწყლობას, გაზის უქმარისობას, სიცივეს, შიმშილსა და, ბოლოს, „ბეტეერებიან“ თუ „უბეტეერო“ მომხვდურთ.

წლეულს სამაჩაბლოსკენ რიგიანად არც კი გაგვიხედია. მით უფრო მადლობის ღირსია გორის ცეკავშირის გამგეობის ტყეიავის კოოპერატივის საქმიანობა მიწისძვრით დაზარალებული პატარა ლიახვის სოფლების მოსახლეობის საჭირო პროდუქტებით მომარაგებაში.

და, აჰა, პირველი ყინულიც დაიძრა. ოთხშაბათს, 19 თებერვალს, გორის ადმინისტრაციული სახლის წინ სატვირთო ავტომანქანების კოლონა გამწკრივდა. ცხინვალში კოლონის გასაცილებლად მოვიდნენ ქალაქისა და რაიონის საკრებულოს, სამეურნეო და სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამაჩაბლოში გასამგზავრებლად თბილისიდან ჩამობრძანდნენ საკონსულტაციო საბჭოს წევრები ბატონები ნოდარ ნათაძე და ხანდრო კავსაძე.

მაინც, რა ტვირთი იდო ავტომანქანების ძარაზე?

საკრებულოს გამგეობის ვაჭრობის განყოფილების გამგემ ელგუჯა ეფშაპორმა იქ მყოფთ მოახსენა, რომ სამაჩაბლოს სოფლებში იგზავნებოდა 42 ტონა პურის ფქვილი, 2 ტონა მაკარონის ნაწარმი, 5 ტონა საქონლის ხორცი, 2 ათასი კილოგრამი შესქელებული რძე, 1600 ცალი თევზის კონსერვი, 3500 პირობითი ქილა კონსერვი, 3 ტონა მანანის ბურღული, 80 ათასი ცალი ასანთი, 7500 კოლოფი სიგარეტი, 8 ტონა ბენზინი, 8 ტონა ნავთი, 8 ტონა დიზელის საწვავი და სხვა.

ავტომანქანების კოლონა ცხინვალისკენ დაიძრა.

ქალაქის კარიბჭესთან სამხედროების პატრულმა მანქანები საგულდაგულოდ შეამოწმა და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვრთეს ცხინვალში შესვლის ნება.

მანქანები კვლავ გაამწკრივეს და კოლონის თავსა და ბოლოში ჯავშანტრანსპორტიორები ამოუყენეს. ჩვენც ერთ-ერთ მათგანში მივეწყვეთ. ვალიკო დოლიაშვილმა, გორისა და მისი რაიონის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარემ, ჯავშანტრანსპორტიორით მგზავრობაზე სამხედროებს თავაზიანი უარი უთხრა და ბენზინმზიდის კაბინაში, მძღოლის გვერდით მოთავსდა. იყო ამაში რაღაც ზნეობრივი გმირობის მსგავსი, როცა ადგილობრივი მმართველობის თავკაცი არ შეუშინდა მოსალოდნელ საფრთხეს.

მშვიდობით გავიარეთ ცხინვალის ქუჩები. ჯავშანტრანსპორტიორში ხიფწროვე იყო, შვიდკაციანი ეკიპაჟი ღელავდა მაგრამ არ იმჩნევდა. მეტყვიამფრქვევი, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა, ყურადღებით ასწორებდა სამიზნეს. სათოფურიდან გვცქეროდი ქალაქს. თუმცაღა დიდი თოვლი იდო და კიდევ ყინავდა, ქალაქი ხალხმრავალი მეჩვენა. ეს იყო, ოღონდ, ქუჩებში შეგროვილი მამაკაცები გაოცებით შემოგვცქეროდნენ, თან რაღაცას გაბოროტებით გვიყვიროდნენ. ჯავშანტრანსპორტიორის ძრავისა და ბორბლების გრუხუნში ინთქმებოდა ქუჩიდან ჩვენამდე მოღწეული შეძახილები, სათოფურიდან ზოგიერთების მოღერებულ მუშტს ვხედავდით მხოლოდ.

მოულოდნელად ჯავშანტრანსპორტიორი გაჩერდა, მანქანიდან გადმოვედით და თამარაშენის მოსახლეობის, ჩვენს ნახვას მონატრებული ადამიანების რკალში აღმოვჩნდით. სოფლელები ნოდარ ნათაძეს და ხანდრო კავსაძეს შემოეხვივნენ, დააყარეს შეკითხვები (შიგადაშიგ — საყვედურებიც) სურსათით დატვირთული მანქანებისკენ არც კი გაუხედავთ — არც ფქვილი გვინდა, არც შაქარი, მარტო ის გვითხარით, რა ხდება თბილისსა და ფოთში, კიდევ ხომ არ ხოცავენ ერთმანეთს ჩვენი მტრების გასახარადო.

თამარაშენელებს კარგა ხანია არც გაზეთები მიუღიათ, არც ტელევიზორი უნახავთ, რომ ამ ქვეყნის რაიმე შეიტყონ, ცხინვალიდან კი აქ დეზინფორმაციულ ცნობებს ავრცელებენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე...

ვიდრე მანქანებიდან ტვირთს გადმოიღებდნენ, თამარაშენის მეურნეობის მანქანით აჩაბეთსა და ქურთას გავემგზავრეთ. ქურთაში სოფლის საავადმყოფოს ვესტუმრეთ...

ძმა ძმისთვის

გულსატკენია, რომ ამ კუთხეს ნაკლებად ან საერთოდ არ აკითხავენ ზოგი სამინისტრო და უწყება. სამაჩაბლოელები იმედს არ კარგავენ, რომ ბოლოს და ბოლოს, მათთან ჩავლენ ტრანსპორტის, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, კავშირგაბმულობის სამინისტროების წარმომადგენლები — სატკივარიც დაუგროვდათ და სათქმელიც.

გამობრუნებისას ისევ ჯავშანტრანსპორტიორებმა ჩაგვიყენეს შუაში. ვალიკო დოლიაშვილი კვლავაც სატვირთო ავტომანქანაში ჩაჯდა და კოლონაც დაიძრა. სამხედროებს ისევ დაძაბული სახეები ჰქონდათ, ტრანსპორტის სარქველიდან თავამოყოფილი მეავტომატე ყურადღებით ათვალიერებდა გზას, ისევ არ აშორებდა თვალს მექანიკურ სამიზნეს ჩემი მეზობელი მეტყვიამფრქვევი.

ქალაქის შემოსასვლელში „ბოევიკების“ ერთმა ჯგუფმა სასამხედროდ გამზადებული სპეციალური სატვირთო მანქანით სცადა წინ მომავალი ტრანსპორტიორისა და კოლონის შუაზე გაჭრა. სამხედროებმა მათი ჩანაფიქრი დროზე გამოიცნეს და ჯავშანტრანსპორტის მოხერხებული მანევრით კოლონის ერთიანობა შეინარჩუნეს. ზინდსა და ხმაურში ჯავშანტრანსპორტიორში მსხდომთ არაფერი გაგვიგია. გორში ჩამოსულებს გვიამბო ეს ვალიკო დოლიაშვილმა.

ასე დამთავრდა ჩვენი ძნელი მოგზაურობა სამაჩაბლოში, რომელიც ცხინვალის სამხედრო ნაწილის ახალი ხელმძღვანელობის მეცადინეობითა და ხელშეწყობით მოხერხდა.

თოხი, ბარი თუ ტრაქტორი...

ვახტანგ გოჯალიშვილი.

დღეს—ხვალისათვის

ნათქვამია — ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ასე რომ არ დაგვემართოს, აქედანვე მთელი სიგრძე-სიგანით უნდა განვსაზღვროთ პრივატიზაციის ავ-კარგი, ყოველი წვრილმანი. ამას იმადაც ვამბობ, რომ მიწის რეფორმა გადაკეთება-გადმოკეთებას არ ექვემდებარება, მომატება-გამოკლებას სოფლის მშრომელები მტკივნეულად განიცდიან.

ამჯერად, ამ შემთხვევაში, ლაპარაკი გვექნება იმაზე კი არა, თუ რა სიკეთეს, რა ურიგობას მოგვიტანს პრივატიზაცია, არამედ იმაზე, თუ მიღებული მიწა როგორ და რით უნდა დავამუშაოთ. თოხით, ბარით თუ ნამგლითა და ცელით შორს ვერ წავალთ... ტრაქტორი, კომბაინი თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები (განსაკუთრებით მცირე მექანიზაციისა) კი არც თუ ისე საკმარისად გვაქვს. ახალი მძლავრი მანქანები კი არც იშოვება და ერთობ გაძვირდა და ყიდვა გაჭირდება. არც საწვავ-საცხების, სათადარიგო ნაწილებისა და სასუქების შოვნაა ასერიგად იოლი.

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ვესაუბრეთ დედოფლისწყაროს რაიონის სოფლისა და ტყის მეურნეობის სამმართველოს უფროსს ავთანდილ ალიკოშვილს.

— პრივატიზაციის სხვადასხვა პრობლემებით არ გადაგღლით, მოდით პირდაპირ, კონკრეტული საკითხის გარკვევით დავიწყოთ. სოფლის მეურნეობაში ახლა უმანქანოდ ვერავინ ვერაფერს გააწყობს. ამაზე რას ფიქრობთ?

— ცხადია, ხარ-კამეჩისა თუ ცხენის ღირღიტიანი გუთნით ახლა ვერ დავამუშავებთ სახნავ-სათეს მიწებსა თუ ბაღ-ვენახებს. მანქანები ისედაც გვაკლდა და დღესდღეობით, თანდათან უფრო გვაკლდება. ერთადერთი და გადამწყვეტი ის არის, რომ რაც გვაქვს მაქსიმალურად, გონივრულად უნდა გამოვიყენოთ... საკარმიდამოში არც ცხენსა და გუთანზე უნდა ვთქვათ უარი.

— ყიდვა ყველას არ შეუძლია, ძალზე გაძვირდა, არა მარტო მანქანები და სათადარიგო ნაწილები, არამედ საწვავ-საცხები და სასუქები თუ შხამქიმიკატები. როგორ გავანაწილოთ ის, რაც გვაქვს?

— ახალ მანქანებზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. საწვავ-საცხები, შხამქიმიკატებიცა და სასუქების შოვნაც ჭირს. ასე, რომ, რაც გვაქვს და რასაც მოვიპოვებთ, ჭკვიანად უნდა გამოვიყენოთ...

— მესმის, სწორია, მაგრამ სოფლის მშრომელებს აინტერესებთ კონკრეტულად როგორ უნდა მოვაწყოთ სამექანიზაციო სამუშაოები?

— სადაც საშუალებაა და ვისაც შეუძლია უნდა შეიძინოს მანქანა, მაგრამ შინ უქმად არ უნდა ჰქონდეს, მეზობლებსა თუ ახლობლებსაც უნდა დაეხმაროს, აქირაოს, ათხოვოს, რომ ყველამ დროულად დაამუშაოს მიწა. მთავარი კი ის არის, რომ ყველა სოფელში უნდა შეიქმნას მანქანების გამქირავებელი პუნქტები.

მექანიზატორები ყველა მშრომელს განურჩევლად უნდა მოემსახურონ — შესრულებული სამუშაოს სათანადოდ დაწესებული ანაზღაურების მიხედვით. აქვე დავძენ, რომ მანქანა არ უნდა იქცეს გამოძალვის საშუალებად, სამუშაოები ერთობლივად შედგენილი გრაფიკის მტკიცედ დაცვით უნდა სრულდებოდეს და არა ნათესაურ-ძმაბიჭური, ან გამორჩენის თვალსაზრისით. ეს ტენდენცია (ნამეტანი გამორჩენისა და ახლობლობის) საზიანოა, საერთო, საქვეყნო საქმის ხელშემშლელია. ამიტომ ვიდრე მექანიზმების სიმცირეა, ვიდრე ფერმერობის გზაზე შემდგარი სოფლის მშრომელს უჭირს, უნდა დავეხმაროთ, რომ საქართველოში უახლოეს მომავალში შეიქმნას პროდუქტების სიუხვე. ამ საქმეში სოფლის მშრომელებს ყველას უნდა მოვუმართოთ ხელი.

— უფრო დაწვრილებით ხომ ვერ განმარტავთ, როგორ წარმოგიდგენიათ მანქანების გამქირავებელი თუ მომსახურების პუნქტების მუშაობა?

— ეს არცთუ ისე იოლი საქმეა. ამ საქმეში სამინისტრომ, სათანადო ქვეუწყებებმა უნდა თქვან გადამწყვეტი სიტყვა, თუ არა მიწის პრივატიზაცია თვითმიზანი კი არ არის. იგი რეალური რომ გახდეს, გლეხკაცობას ხელი ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ, რომ მიწა დაუმუშავებელი არ დარჩეს.

ჩემი აზრით, მანქანების გამქირავებელი პუნქტი, ყველგან პრივატიზაციის განხორციელებისას პარალელურად უნდა გაიხსნას. მათ ყველა სახის მანქანები, მისაბმელი იარაღები უნდა მივცეთ. შესაძლოა მანქანები ნებაყოფლობით, კოლექტიურ საწყისებზე (ერთობლივი თანხებით მანქანების შესყიდვით) შეიძინონ გამქირავებელმა პუნქტებმა. პუნქტები უნდა უზრუნველვყოთ აგრეთვე საწვავ-საცხებითა და სათადარიგო ნაწილებით, მათვე დავაკისროთ შხამქიმიკატებისა და სასუქების შეტანა, რისთვისაც აქ მომუშავე მექანიზატორებს მიეცემათ სათანადო ანაზღაურება. აქვე, ერთხელ კიდევ დავძენ, რომ მანქანებით მომსახურების საქმე მტკიცე გრაფიკის დაცვით უნდა წარიმართოს და მიკერძოების ყოველი ფაქტი ძირშივე უნდა აღმოიფხვრას. ასე რომ გამქირავებელ პუნქტს უნდა ხელმძღვანელობდეს გამოცდილი ინჟინერ-მექანიზატორი, რომელიც საქმის ცოდნასთან ერთად აღჭურვილი უნდა იყოს კეთილგონიერებით, ქვეყნისათვის სიკეთის მოტანის სულისკვეთებითა და არასდიდებით — ანგარებით.

— ამასთან დაკავშირებით ერთი საყოველთაოდ მოარული შეკითხვა: ახლა სოფლად ხშირად გავიგონებთ ხოლმე — გლეხი გაუუცხოვდაო მიწას...

— ჩვენს ზოგიერთ თანამედროვე გლეხკაცს (მათ გლეხსაც კი ვეღარ ვუწოდებთ) ხელს აძლევს არსებული აგრარული მდგომარეობა, რასაც თან სასურსათო კრიზისი ახლავს. ამ პირობებში გლეხკაცობა თავის შეზღუდულ საკარმიდამო ნაკვეთიდან სულ უფრო მეტ შემოსავალს იღებს პროდუქტების ფასების ერთობ მომატებით. ეს „საქმოსან“ (მაპატიონ ასეთმა მშრომელებმა, ამასაც შრომა უნდა) გლეხკაცობას უბიძგებს საკარმიდამოზე მოწეული პროდუქტები, შინ გამოზრდილი საქონლის ხორცი მამასისხლად გაყიდოს. ამას ლოზუნგებით ვერ მოვაწესრიგებთ; მე მინდა ყველამ გაიგოს, რომ სოფლის ვერცერთი მშრომელი საკარმიდამოდან (თუნდაც ბაღ-ვენახიდან), საზოგადოებრივ მეურნეობასთან შედარებით ორჯერ, სამჯერ მეტ მოსავალს ვერ მიიღებს. საზოგადოებრივი მეურნეობების მიწაზე მოწეული პროდუქტებით ხომ არ მდიდრდება საკარმიდამოზე მოწეულის ხვედრითი წილი? ვფიქრობ ასე იყო კომუნისტური რეჟიმის დროს (ყურძენი, ციტრუსი, ხილი) მოსახლეობაში დამზადებული პროდუქტები აღირიცხებოდა, როგორც საკარმიდამოზე მოწეული. ნამდვილად ასე იყო? ხომ არ გადადიოდა საზოგადოებრივიდან საკარმიდამოზე? ამ დაუწერელ, დაუკანონებელ წესისათვის ხელი არც გაქცეულ მთავრობას შეუშლია, მგონი პირიქით — ამ დროს იმათა წამგლეჯობამ, ქურდობამ. ამბობენ სოფლად ვისაც როგორ და სადაც მიუწვდებოდა ხელი, ისე იპარავდაო. იქნებ ამიტომაც ვერ შეეგუებიან კოლმეურნეობას? კოლმეურნეობა ხომ ძირითადად დიპლომიან სპეციალისტებს, ბრიგადირებს, ხელმძღვანელებს აძლევს ხელს?

— თუ ყოველივე ეს ასე არ არის, მაშ როგორ უნდა გავიგოთ ის ფაქტი რომ საკარმიდამოს რესპუბლიკის საერთო სახნავ-სათესი ფართობის 5-6 პროცენტი უჭირავს და მოსავლის 60 პროცენტს კი იძლევა. ეს რეალურია?

— ამას რომ ამბობთ, ალბათ ფიქრობთ, რომ საკარმიდამოს ფართობის მომატებაც შესაძლოა სხვანაირად გამოიყენონ სოფლის მშრომელებმა? ერთი შეხედვით, იქნებ ასეც ვიფიქროთ, მაგრამ ამჯერად ორნაირი მოსაზრება მიჩნდება: ჯერ ერთი, ახლა სოფლის მეურნეობა ისეა გაპარტახებული, რომ ოღონდ პროდუქტების სიუხვეს მივაღწიოთ, კრიზისიდან გამოვიდეთ და ზოგიერთ უკეთურობაზე შესაძლოა თვალი განგებ დავხუჭოთ. მეორეც, არა მგონია ამან საზოგადოებრივი მეურნეობების მიწების, ბაღ-ვენახებისა და, თუ გნებავთ, ფერმების შემოსავალზე უარყოფითად იმოქმედოს. კოლმეურნეობა ახლა ის აღარ არის ადრეულ ხანაში და თუნდაც, ორი წლის წინ რომ იყო. სოფლის მშრომელები მუქთამჭამელებს აღარ მოითმენენ.

...და რაც მთავარია, ახლა მშრომელი კაცის გარჯა ნამდვილად უნდა დაფასდეს. უამისოდ ყველაფერი თავიდან დასაწყები გახდება. გამრჯე კაცის გუნება-განწყობა შრომის შედეგზეა დამოკიდებული. თუ ამით იგი კმაყოფილი იქნება, მაშინ მას რწმენაც იქნება და მიწის სიყვარულიც დაუბრუნდება. მანამდე კი ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მიწის ყოველი გოჯი მოსავლის სამსახურში ჩავაყენოთ. ამისათვის საჭიროა ყოველგვარი და ყოველი მანქანა მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ეს უნდა იცოდეს, რომ იტყვიან, ერმაც და ბერმაც. სხვათა შორის სამართლისა და სიწმინდის ქადაგება სკოლის მერხიდანვე უნდა დავიწყოთ, დავაგვიანეთ, ძალზე დავაგვიანეთ, ადამიანის სულის განწმენდისათვის ყველამ უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ.

—ახლა ისეთი რამ უნდა შეგეკითხოთ, რამაც, შესაძლოა, გაგაოცოთ. კომუნისტური რეჟიმის დროს, ყველაფერი მიღებული და დასაძრახი რომ არ გაკეთებულა, ცხადია. ამჯერად მინდა შეგეკითხოთ და გთხოვოთ მისაღებია თუ არა ჩემი მოსაზრება. „მტს-ის“ დროს მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება ფულითაც ხდებოდა და ნატურითაც. ამასთან პროდუქტების დამზადების მაშინდელი წესი მთლად მიუღებელი არ უნდა იყოს. მაშინ დამზადების ის წესი ერთ ხელში უყრიდა თავს პროდუქტებს, რაც სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა ქალაქის მშრომელთა მომარაგებას. ამან ბევრი სასიკეთო გააკეთა. ახლაც, როცა გადავდივართ პრივატიზაციაზე, როცა ტექნიკა არ გვყოფნის და მანქანების გაქირავების შესახებ ვფიქრობთ, მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება და დამზადების მაშინდელი წესი ხომ არ შემოგვეღო?

— ამაზე მსჯელობა და ფიქრი ნამდვილად ღირს. სხვა თუ არაფერი, პროდუქტების სიუხვეს რაც კი შეუწყობს ხელს, ყველაფერი უნდა ავადგინოთ, გამოვიყენოთ, ვეცადოთ. ვნახოთ რას იტყვიან მშრომელები. ისე კი დღეს თოხითა და ბარით მართლაც ვერაფერს გავაწყობთ, მაგრამ ტრაქტორთან ერთად, თოხისა და ბარის გამოყენებაც არ უნდა ვითაკილოთ. არის ისეთი სამუშაოები, რომლებსაც სხვა იარაღით ვერ შეასრულებ, ამას საქართველოს ინტერესები, ჩვენი არსებობის ინტერესები მოითხოვს. მთავარია ყველა შრომისუნარიანი ნამდვილად შრომობდეს.

ნადიმები ტყვიის წივილში,

ანუ არა ხმად მღაღადებლისა

აკაკი გელოვანი

გულის ბუხარი

დღეს ყველა ჩვენს ერის ძნელბედობას, ძმათა სისხლიან შეტაკებებს, ეკონომიკურ სილატაკეს, გაუტანლობას, ძარცვას, ადამიანთა გატაცებას და სხვა უკეთურობას, გვაგონდება იერემიას გოდება: „ნუთუ აღარ არის გალაადში მკურნალი? რატომ არ უხორცდება ჭრილობა ჩემს ასულს, ჩემს ერს?“.

„ქართველები მთელს აზიაში უმამაცესი ხალხია და, საშინაო თანხმობა რომ ჰქონდეთ, ვერავითარი საგარეო მტრული ძალა ზიანს ვერ მიაყენებდა“, — წერდა გამოჩენილი პოეტი და დიპლომატი პავლე ლევაშოვი.

ხოლო მეორე პავლე, დიდი მოციქული, თითქმის ორი ათასი წლის წინათ წუხდა თავისი ერის შინაგან უთანხმოებას. მაშინ დაწერა ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, სადაც დაუნდობლად კიცხავს მოშუღლართ, მოითხოვს შეკავშირებას, რასაც ხსნის საწინდრად რაცხს. იქვე გმობს ცრუ ფილოსოფიით გატაცებას, „პოლიტარქების“ საკუთარი ავტორიტეტის დაყენებას ღმერთზე მაღლა. სხვაგან ის ილაშქრებს გარყვნილების, ოჯახის ნგრევის, ზედმეტი ნადიმების და ეროვნული გულგრილობის, კერპთა თაყვანისცემის დამღუპველი ჩვევების წინააღმდეგ. ყოველივე ამას კავშირი აქვს, რაზედაც მინდა გულისტკივილი გავუზიარო მკითხველს და ავძრა საკითხი ხელისუფალთა და წესრიგის მცველთა წინაშე.

იმას ვამბობდი, ბევრს ვუჩივით ათას უბედურებას, რაც განგებამ ერთდროულად დაგვატეხა, და ისე დაგვცა, თავი აღარსად გამოგვეყოფა; არავის სურს გვცნოს არც მაშინ, როცა ცნობენ მოლდოვას, ტაჯიკებს, თურქმენებს და ვის არა!...

სატკივარი ბევრი გვჭირს, მაგრამ უბედურებათა შორის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია უალაგო სმა და ღრეობა, რაც აგრე გაგვჯდომია ძვალსა და რბილში.

არავინ დამწამოს, თითქოს სუფრის, ლხინის, ზომიერად ღვინის სმის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს! სანამ კაცი სვამს ღვინოს, ის ადამიანია, მაგრამ როცა ღვინო სვამს კაცს, ის უკვე პირუტყვად, პოტენციურ დამნაშავედ გადაიქცევა.

აი, ასეთი უზომო სმისა და დაუსრულებელი ნადიმების წინააღმდეგი ვარ და ვიქნები, სმისა, რომელიც ადამიანს წუმპეში ძირავს, სუფრაზე აძინებს ან აწყებინებს ჩხუბს იმასთან, ვისაც წუთის წინ სამარის კარამდე ერთგულებას ეფიცებოდა. გონდაკარგული კაცი იგინება (თანაც ველარც არჩევს საკუთარ და სხვის დედას. ეს უკვე წესად შემოვიდა), უაზროდ ღმუის, ალკოჰოლი ზეობს.

ვიცით, ვიცით, იტყვით. დიახ, როგორ არ ვიცით, ყველამ ვიცით, ყველანი ვხედავთ, ყველას გვესმის ღამის ორ-სამ საათზე ქუჩიდან სიმღერა, ღრიალი, ლანძღვა, მუქარა, წივილ-კივილი... ვიცით, მაგრამ ვერაფერი გვიღონია ამ უკვე წესად ქცეული ეროვნული ზნის აღსაკვეთად!

გახსოვთ წლევანდელი ახალი წელი? ჩვენ კი არა, ალბათ, საქართველოს ხშირად არ მოსწრებია ასეთი უბედური, სისხლიანი ახალი წელი. მერე, როგორ აღინიშნა? მე პირადად ნაძვის ხეც აღარ დამიდგამს შვილიშვილებისთვის, გავხიზნეთ კიდეც ნათესავთან, და კარგადაც მოვიქეცით. ჯერ ხომ ისედაც სროლა იყო, ძმა ძმას ესროდა, მაგრამ როგორც კი საათის ისრები თორმეტს მიუახლოვდა, ატყდა ისეთი კანონადა, როგორიც, ალბათ, ნაპოლეონ ბონაპარტეს არ აუტეხავს პირამიდებთან. თოფი, ტკაცუნა, ავტომატი, ტყვიამფრქვევი თუ ქვემეხი ერთიან ჯერებად დაატყდა თავს ისედაც დაქანცული, დაჭრილი, უბედური ხალხის ყურთასმენას. ომი მეგონა, ნამდვილი ომი, და იყო კიდეც, მაგრამ, როგორც მარწმუნებენ, ეს ძირითადად საახალწლო ბედლუხი ყოფილა! ვაი, ასეთ ბედლუხს და ვაი მას, ვინც ასე ზეიმობს ერის წახდენას.

საერთოდ, რა გვეზეიმება, საქმეს მივხედოთ! მხვნელ-მთესველი მიწას დაუბრუნდეს, მუშა — დაზგას, მძღოლი — საჭეს... ასე შეიქმნება დოვლათი, თორემ ციური მანანა აღარ არის უფლის ბეღლებში, ხოლო სამოწყალოდ ხელგაშვერილი გორბაჩოვი ისტორიას ჩაბარდა, მისი მიბაძვა სამარცხვინოა.

მე ვხედავ, და უთუოდ შენც, მკითხველო, როგორ ივსება ხელადები ყოველ ოჯახში ამ ძნელბედობის ჟამსაც, როცა ერთი ციცქნა მწვანილი ოცი მანეთი ჯდება, კილოგრამი ყველი ასი-ასორმოცდაათი მანეთი, ხორცი... ჩვენსას მაინც არ ვიშლით. ეს არის დანაშაული მატერიალურად და კიდევ უფრო — მორალურად, რა გაქეიფებს, ჰაბუკო, როცა სამაჩაბლო თვალსა და ხელს შუა გეკარგება, აფხაზეთის ძირძველ ქართულ მიწაზე ახალი ღრუბლები ტყვიის სიმძიმით წვება, შინ კი ჯერაც ვერ გადაგვიწყვეტია, რომელი კონსტიტუცია მივიღოთ, როდის მივიღოთ, ვართ თუ არა მომზადებული პარლამენტის არჩევის ან მეფობის აღდგენისთვის... ერს ათასი ტვირთი აწევს, მისი სიმძიმე ყოველმა ჩვენგანმა უნდა გავინაწილოთ. ამ დროს შენ იწვევ მეგობრებს, ხშირად ქუჩის ნაძირალებს, ლუკმის მაძიებელ ძმა-ბიჭებს, რომ ქუდი ჰერსა ჰკრა და შემდეგ მეზობლებმა დაგვცინონ, თვითონ კი ხმის ჩახლეჩამდე გაიძახი: „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს... დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ...“. ეს სრული სიმართლეა: დილამდე მღერი, სვამ, მაგნიტოფონით უშფოთებ ძილს მეზობლებს, და როდის მოიცლი, რომ სასთუმალზე დაიძინო? ახლახან ორსავე მხარეს დაღუპული ვაჟკაცები დაკრძალეს. წუხელაც ვინ იცის, რამდენმა არამზადამ რამდენი სიცოცხლით სავსე მოძმე გამოასალმა წუთისოფელს რაღაც ნივთებისთვის თუ უბრალოდ სიმთვრალით, შენ კი ისე ნადიმობ, თითქოს შამქორის ბრძოლა მოგეგოს! გონიერი ადამიანები არ მოგიწვევია, იქნებ ცოლ-შვილიც გახიზნე ან გააძევე, რომ ხელი არავინ შეგიშალოს მეგობრებთან დროსტარებაში? დილითაც, ნაბახუსევს, უთენია გესტუმრებიან. იმას კი არ კითხულობენ, ოჯახის სხვა წევრები იქნებ დაიქანცნენ, ეძინებათ, ან სამუშაო აქვთ... ბიბლია გვასწავლის, რომ ასეთი შვილი უნდა მოიკვეთოს, ვითარცა ხენეში ტოტი. რას იზამ, ქართველები შვილს არ გაწირავთ, — დიდი ბიბლიური დავითიც დასტიროდა მეამბოხე შვილს, რომელმაც ტახტის წართმევა მოუნდომა, შეება, სამსისხლოდ დაედევნა, მაგრამ ღმერთმა საკუთარი თმებით დაჰკიდა ხეზე. მშობელი ერთი პიროვნებაა, მაგრამ ერს რა პასუხს აძლევთ, პირში მონადიმენო? ადამის ჟამიდან ადამიანი განცდებს აჰყოლია, ღმერთს ივიწყებს ხშირად და ამიტომაც ისჯება აგრერიგად. ძველ საქართველოში ლოთობა არ იყო. მემთვრალეს თავს ლაფს ასხამდნენ.

ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ საქმე უბრალოდ სიმთვრალესთან, როგორც პიროვნულ მანკიერებასთან, როდი გვაქვს. ვითარება უფრო სერიოზულია. ყოველი გალეშილი, გამოთიშული, ბობოქარი ლოთი ერის სხეულის უჯრედია, და რაც მეტია ლოთი, მით უფრო მეტია სხეულ უჯრედთა რაოდენობა. ეს კი უკვე ავთვისებიანი სიმსივნეა. ასეა ყველა თვალსაზრისით. არის მეორე, ზნეობრივი მხარეც. როცა ერს უჭირს, როცა საჭიროა მთელი ძალ-ღონის დაძაბვა დაცემული ერის აღსადგენად, — დიახაც, დაცემაზეა დღეს ლაპარაკი! — მაშინ უდარდი სმა და ღრეობა, ზნეობის დაცემის და საზოგადოების დიდი ნაწილის დაბალი დონის მაჩვენებელია.

ერის ტრაგედია გრძელდება. ეროვნულ გენებს კრიმინოგენები მოეძალა. იღვრება სისხლი, თითქმის ყოველდღე იღუპება ან გვარდიელი, ან მილიციელი, ან ალალი მოქალაქე. მძარცველთა და უკეთურთა ხელი ცვლის უფლის ხელს და თვით ერის მამის — ილიას მუზეუმს არ ინდობენ. რუსეთში შეკოწიწებულ შეიარაღებულ რაზმს გვიგზავნიან „რუსეთის სამხრეთი საზღვრების დასაცავად“, თითქოს სამაჩაბლო რუსეთის საზღვარი იყოს. ახალ-ახალ პროვოკაციებს გვიმზადებს გადამთიელი. გვიჭირს ეკონომიკურად, ლამის წელში გაწყვიტოს ხალხი ახალი ფასების სიმძიმემ, თუმცა ხალხს ესმის, რომ ეს აუცილებელი იყო... ერის ბედი სასწორზეა. ვისაც ეს აწუხებს, დროს არ დაკარგავს უაზრო სტუმარ-მასპინძლობაში, მისვლა-მოსვლაში, სმაში და ლაზღანდარობაში, ჯაზური მუსიკის გრიალში... ეს ხომ ბალთაზარის ნადიმია, და აღარ ვიცით, როდის წააწერს დარბაზის კედელს უჩინარი ხელი საბედისწერო ცეცხლის ფორმულას: „გაზომილია, აწონილია, განაწილებულია“. აი, რომ არ გავნაწილდეთ, დროა ყველანი გონს მოვეგოთ, ერთიანი ძალისხმევით მივეშველოთ ქვეყანას, ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთ, ისეთი რუდუნებით, როგორც ქრისტე და მისი მოციქულები აშენებდნენ ეკლესიას. დროა გონს მოეგოს ყველა, ვისაც ძარღვებში წინაპართა წმინდა სისხლი უჩქეფს!

მტკიცედ, ენერგიულად ვითხოვთ ხელისუფლების სათანადო ორგანოებისგან, კერძოდ მილიციისგან, კონტროლი გაუწიოს მოთარეშე მთვრალებს, თუნდაც იმ ოჯახებშიც შეიხედოს, სადაც გაბმული ნადიმებია და „ვარაღე“ ფარავს ტყვიის წივილს, დაჭრილთა კვნესას, მოხუცის ჩივილს, ბავშვის ტირილს. როგორც კი საჭირო სიგნალს მიიღებს, მილიცია უნდა მივიდეს, მკაცრად აღკვეთოს გალეშილთა ძალადობა, ვიდრე სისხლი დაიღვრება, პურმარილი დაიმსხვრევა, ცოლ-შვილი და დედ-მამა თავგასული შვილებისა და მათი უსაქმური მეინახეების უხეშობის ობიექტი გახდება. ეს წესრიგის დამცველთა უშუალო მოვალეობაა.

„მკურნალო ჯანმაგარსაც უნდაო“, ნათქვამია; „სნეულო, განიკურნე თავი შენი“... ესეც ნათქვამია. ხოლო თუ ავადმყოფი თვით ვერ კურნავს ან არ სურს განიკურნოს, შემძლებელი უნდა ჩაერიოს.

ჩვენ ვითხოვთ კონტროლს, საგანგებო ღონისძიებებს მემთვრალეობის და ეროვნული უზნეობის, მორალური გახრწნილების წინააღმდეგ, და — არა მგონია რადიკალური ვიყო, — პოლიტიკურ უზნეობად უნდა ჩავთვალოთ ამ საქმის, ამ სიტყვის დარჩენა ხმად მღაღადებლისა...

მინაწერი:

ეს სტატია დასაბეჭდად მზად იყო, როცა მისი სიმართლის მორიგი დამადასტურებელი ცნობა მივიღე. 16 თებერვალს რაღაც საქმეზე დმანისში ჩასულ ერთ გვარდიელს და მის მეუღლეს ქუჩაში თავს დაესხნენ გალეშილი ახალგაზრდები, ვინმე ნასტუდენტარ აფრასიძის აქტიური წინამძღოლობით, ჯერ უმიზეზოდ ლანძღეს, თათხეს, შემდეგ ცემაზე გადავიდნენ. გვარდიელი ღონიერი ბიჭია და ერთი-ორი რას მოერეოდა! მაშინ გაიქცნენ, სადღაც ახლო ქეიფი ყოფილა, იქიდან მოიყვანეს ოცამდე მთვრალი „ვაჟკაცი“, დაესხნენ ერთს და მიუხედავად ქალის ხვეწნისა, ლამის სული ამოხადეს. ასე გათელეს ამაღლებული სიტყვა, რითაც ათეული წლების განმავლობაში მიდიდებია სვანთა რაინდული სულისკვეთება, ძმობა და სიკეთე! სტუმრად ჩასული ქართველი, სვანი ვაჟკაცი არ დაინდეს და სასწაულით გადარჩა სიკვდილს. მერე ერთმანეთს დარევიან რატომ არ მოკალითო! ეს უთუოდ ის ვაჟბატონები იყვნენ, რომელთაც უდანაშაულო შოფერი წამებით მოკლეს... ასე გადაგვარებულა ბარად ჩამოსული ახალგაზრდების დიდი ნაწილი, სმა და ცემა-ტყეპა გაუხდიათ პროფესიად. ასე არ იყო ჭუბერში და სხვა სოფლებში. ამ წლინახევრის წინ ვიყავით დმანისში, ვესაუბრეთ. საქმიანი, თავაზიანი, მშენებელი ხალხი ვნახეთ, გვიხაროდა. რა მოხდა? განა იმისათვის ჩავასახლეთ ამ ძველ ნაოხარ მხარეში ჩვენი ხალხი, რომ ერის ძნელბედობის ჟამს ნადიმები გამართონ, ერთმა სტუმარი მიიწვიოს, მეორენი თავს დაესხან და შეგვარცხვინონ, ლანძღონ კაცი, სოფელი? ლაპარაკიც კი მიჭირს ამაზე. რაა სალაპარაკო? ეს ყაჩაღობაა და არა სტაბილიზაცია. ერთი „ყოჩაღი“ დმანისელი მილიციელიც ხულიგნებს ამოსდგომია გვერდით რევოლვერით, იმის მაგიერ, რომ უკანონო იარაღი ამოიღოს!

მე არ ვიცი სათანადო ორგანოების მისამართი. მათ ვთხოვ გულდასმით გაეცნონ „საქართველოს რესპუბლიკის“ ამ პუბლიკაციას და დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები. დმანისში საშიში მაფია ბატონობს. ქალი, ვინც ეს ამბავი მომითხრო, შეძრწუნებული იყო და ტიროდა: ამდენი სროლა, ავტომატების ჯერი თბილისშიც იშვიათად მსმენიაო. ყველა შეიარაღებულია. ეს ცნობები ხშირად მომდის. ამ უბნის ასეთი ვითარების უყურადღებოდ მიტოვება იქნება დანაშაული რაიონისა და ერის წინაშე. სიტყვა ბ-ნ რომან გვენცაძეს და მის ძალმოსილ კოლეგებს ეკუთვნით.

ა. გ.

ხსოვნა



ამა წლის 18 თებერვალს მოსკოვში 82 წლის ასაკში გარდაიცვალა აკადემიკოსი ნიკოლოზ ბოგოლიუბოვი — გამოჩენილი მათემატიკოსი და ფიზიკოსი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერების დიდი ორგანიზატორი. აკადემიკოსი ნ. ბოგოლიუბოვი ეკუთვნოდა იმ ბუმბერაზ მეცნიერთა რიგს, რომელთაც თავისი ინდივიდუალური და წარუშლელი კვალი დაატყვეს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მთელი თეორიული ფიზიკის განვითარებას.

აკადემიკოსი ნ. ბოგოლიუბოვი იყო ქართველ მეცნიერთა და საერთოდ საქართველოს დიდი მეგობარი და კეთილმოსურნე, თანამედროვე ქართული ფიზიკური სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

კეთილი მეგობარი

სამეცნიერო მოღვაწეობა ნ. ბოგოლიუბოვმა დაიწყო ჯერ კიდევ 13 წლის ასაკში კიევში აკად. ნ. კრილოვის ხელმძღვანელობით და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე არ შეუწყვეტია დაუღალავი და ნაყოფიერი მუშაობა. მისი პირველივე მათემატიკური გამოკვლევები იპყრობენ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღებას. 21 წლის ასაკში მას მიენიჭა მათემატიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ბოლონიის მეცნიერებათა აკადემიის პრემია და არჩეულ იქნა ამავე აკადემიის პროფესორად „honoris causa“.

როგორც ცნობილია, მათემატიკა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ენაა. გენიოსებს და ტალანტებს შესწევთ უნარი ბუნების ურთულეს მოვლენებში დაინახონ ძირითადი კანონზომიერებანი და შექმნან მათი შესწავლისათვის ადეკვატური მათემატიკური აპარატი. აკადემიკოსი ნ. ბოგოლიუბოვი სწორედ ასეთ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება.

ოცდაათიან წლებში, როდესაც ისახებოდა თანამედროვე ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის წამყვანი მიმართულებები, როგორიცაა ავიაცია და კოსმოსური ფრენის მექანიკა, მართვისა და მოძრაობის მდგრადობის თეორია, მათემატიკური ეკოლოგია და სხვა, ნ. ბოგოლიუბოვი თავის მასწავლებელთან ერთად ქმნის ამ დარგების მათემატიკურ საფუძველს — არაწრფივ მექანიკას, რომელიც წარმოადგენდა მათემატიკური ფიზიკის სრულიად ახალ მიმართულებას.

ორმოციანი წლები ხასიათდება ატომური ენერგიის გამოყენების და ნივთიერების ახალ — პლაზმურ, ზედენად და ზეგამტარ მდგომარეობათა შესწავლის ფართო ფრონტით, რამაც დღის წესრიგში დააყენა არაწონასწორული და შეუქცევადი პროცესების გამოკვლევა. ნ. ბოგოლიუბოვმა სტატისტიკურ მექანიკაში ახალი ძირეული ცნებების შემოტანით ჩამოაყალიბა არაწონასწორული პროცესების მწყობრი თეორია, რომელიც ერთიანი თვალსაზრისით აფუძნებდა კინეტიკურ და ჰიდროდინამიკურ განტოლებებს და წარმოადგენს ჰიბსისა და ბოლცმანის შემდეგ ახალ ეტაპს სტატისტიკურ ფიზიკაში. ნ. ბოგოლიუბოვმა ერთ-ერთმა პირველმა დაადგინა, რომ ნივთიერების ზედენადი და ზეგამტარი მდგომარეობების საიდუმლოება მრავალი ნაწილაკისგან შემდგარი სისტემებისთვის დამახასიათებელ კოლექტიურ მოვლენებშია. მანვე შექმნა ამ მდგომარეობების აღწერის მიკროსკოპული თეორია.

სიღრმეული ცნებები, რომლებიც ამ თეორიის საფუძველს წარმოადგენს, უნივერსალური ხასიათის გამო გამოიყენება როგორც კონდენსირებული გარემოს, ასევე მატერიის სხვა მდგომარეობათა შესწავლისას. წარმოდგენა ფიზიკური სისტემის ძირითადი მდგომარეობის გადაგვარებისა და სიმეტრიის სპონტანურად დარღვევის შესახებ ამოსავალი წერტილია ბირთვული მატერიის, ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთქმედებების და სამყაროს ევოლუციის ძირითადი ეტაპების შესწავლისათვის.

ელემენტარული ნაწილაკების კვანტურ ბუნებაზე, დროისა და სივრცის რელატივისტურ კანონზომიერებებზე და მიკრომიზეზობრიობის პრინციპზე დაყრდნობით აკად. ნ. ბოგოლიუბოვმა შექმნა ელემენტარულ ნაწილაკთა ურთიერთქმედების თანამედროვე თეორიის მათემატიკური საფუძველი — ველის კვანტური თეორიის აქსიომატური მიდგომა. ველის აქსიომატური თეორიის ფარგლებში შესაძლებელი გახდა უმნიშვნელოვანესი ფიზიკური სიდიდეებისთვის განტოლებათა მიღება, რომლებიც ადრე შესწავლილი იყო აკად. ნ. მუსხელიშვილის და მისი მოწაფეების მიერ დრეკადობის თეორიის პრობლემების კვლევისას.

60-იან წლებში ელემენტარულ ნაწილაკთა მძლავრ ამაჩქარებლებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ პროტონები, ნეიტრონები და სხვა ნაწილაკები არ წარმოადგენენ ჭეშმარიტად ელემენტარულ ნაწილაკებს, მათ შინაგანი სტრუქტურა გააჩნიათ. ნ. ბოგოლიუბოვმა თავის მოწაფეებთან ერთად შემოიღო ფერადი კვარკების ცნება, როგორც მატერიის ფუნდამენტური ნაწილაკებისა, რომელთაგან შედგებიან სხვა ბირთვული ნაწილაკები. ფერადი კვარკები და მათ შორის ურთიერთქმედებათა კანონზომიერებანი მიკრო — და მაკროსამყაროს თანამედროვე თეორიის საფუძველია.

შეუძლებელია ამ მოკლე წერილში სრულად წარმოადგინო აკად. ნ. ბოგოლიუბოვის სამეცნიერო მემკვიდრეობა, რამაც იგი დააყენა მე-20 საუკუნის თვალსაჩინო მეცნიერთა რიგში.

აკადემიკოს ნ. ბოგოლიუბოვს აკავშირებდა სამეცნიერო და მეგობრული ურთიერთობა გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსებთან ნ. მუსხელიშვილთან, ი. ვეკუასთან და მათ მოწაფეებთან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტთან. ამ კავშირებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში თანამედროვე ფიზიკის და მათემატიკის მაღალ დონეზე აყვანაში და მის შემდგომ განვითარებაში. ნ. ბოგოლიუბოვის უშუალო სამეცნიერო ხელმძღვანელობით საქართველოში აღიზარდა მეცნიერთა რამდენიმე თაობა. იგი იყო ორგანიზატორი და უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოში ჩატარებული მთელი რიგი საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების და ახალგაზრდა მეცნიერთა სკოლების მუშაობაში. აკადემიკოს ნ. ბოგოლიუბოვის პრინციპული მხარდაჭერით შეიქმნა თეორიული ფიზიკის განყოფილება ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ნიკოლოზ ბოგოლიუბოვი კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიას და კულტურას, გამსჭვალული იყო ღრმა პატივისცემით ქართველი ერისადმი. აკადემიკოს ბოგოლიუბოვის ცხოვრება და მოღვაწეობა ერთა შორის ნაყოფიერი მეცნიერული და ადამიანური ურთიერთობის, კაცობრიობის მაღალი იდეალების სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია.

აკადემიკოსი
ალბერტ თავხელიძე

ბი-ბი-სი

მიხეილ გორბაჩოვმა გადადგომისთანავე განაცხადა, რომ განზრახული აქვს თავის ქვეყანაში დარჩეს და პოლიტიკურ პრობლემებზე იმუშაოს. ყოფილმა პრეზიდენტმა თავისი ფონდი სწორედ ამ მიზნით შექმნა. მაგრამ როგორია ამ ფონდის კონკრეტული ამოცანები და როგორია მიხეილ გორბაჩოვის კონკრეტული ზრახვები? როგორც გორბაჩოვის პრეს-მდივანმა ვლადიმირ ლოგინოვმა გვითხრა, უწინარეს ყოვლისა მიხეილ გორბაჩოვი უცხოეთში გაემგზავრება.

მიწვევა, ბრძანა მან, სამი ჯგუფის ქვეყნებიდან მოდის, და ამ მხრივ განსაკუთრებულ [illegible] იჩენს უწინარესად გერმანია, შემდეგ — იაპონია, რადგან იაპონიაში ჩასული ყოველი დელეგაცია ამბობს, რომ იქ ჩასვლა აუცილებელია, და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატები. უკვე ამ დღეებში გაირკვევა მარშრუტი. როგორც ჩანს, მოგზაურობა ევროპით დაიწყება.

მაგრამ, სანამ გორბაჩოვი სამოგზაუროდ წავიდოდეს, თებერვლის მიწურულს უნდა გაიმართოს ფონდის პრეზენტაცია. მოსალოდნელია, რომ ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებენ მარგარეტ ტეტჩერი, რონალდ რეიგანი, ფრანსუა მიტერანი, ჰელმუტ კოლი, ჯულიო ანდრეოტი და სხვა პოლიტიკური „ვარსკვლავები“, რომლებთანაც ასე თუ ისე საქმე ჰქონია გორბაჩოვს თავის მოღვაწეობის დროს.

უცხოეთის ხმები

არის ერთადერთი სიძნელე, გორბაჩოვს საპრეზენტაციო ფული არა აქვს, ვ. ლოგინოვი ამბობს, რომ გორბაჩოვი, როცა სარესპუბლიკათაშორისო მნიშვნელობის პენსიონერი გახდა, უშუალოდ გადააწყდა პრობლემებს, რომლებიც ფასების ლიბერალიზაციამ შვა, და სერიოზულად ჩაუფიქრდა ხარჯების მიზანშეწონილობას.

პირველ დღეს, გვიამბობს ვ. ლოგინოვი, ასეთი ეპიზოდიც კი მოხდა. სასადილოში ძალზე ძვირი ხორცი შემოიტანეს და, ცხადია, სადილებიც ძალიან გაძვირდა, ასე რომ, უმრავლესობა ცდილობს პირველ კერძს, სალათებს და სხვა ამგვარ საჭმელს დასჯერდეს. გორბაჩოვმა, კი როგორც ჩანს, ძველი ინერციის გამო, დროზე ვერ მოიფიქრა ეს, და როცა სადილად წავიდა, მთელი ჯგუფი მიიპატიჟა, რომელიც ამ დროს მასთან მუშაობდა. ხუთი თუ ექვსი კაცი იყო. სადილად დასხდნენ, და როცა გაერკვნენ, თუ რა ღირდა მარტო ერთი სადილი, მას ლამის ელდა ეცა. ცხადია, ახლა მას სულ სხვა შესაძლებლობანი აქვს ამ მხრივ. რა თქმა უნდა, მატერიალურად ბევრი არაფერი მოაკლდა, სახელმწიფომ როგორღაც უზრუნველყო. მაგრამ იგი აქ ყოველდღე სადილობს და ეს რეალობაა.

ამჟამად, თქვა ვ. ლოგინოვმა, ფონდში ხელფასს არავინ იღებს. ალბათ მარტში მიიღებენ, პრეზენტაციის შემდეგ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

თუ ეს თანამეგობრობა დაინგრა...

„როგორც იქნა ნათლად შევიგნეთ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ისეთი სტრუქტურაა, ურომლისოდაც ვერ გადავრჩებით“. ასე შეაფასა თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერთა 14 თებერვალს მინსკში გამართული შეხვედრის შედეგები ბელორუსიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ სტანისლავ შუშკევიჩმა. მასთან ინტერვიუ 20 თებერვალს გამოაქვეყნა გაზეთმა „რაბოჩაია ტრიბუნამ“.

„როგორც ოპტიმისტი, დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ეს თანამეგობრობა დაინგრა, მოგვიხდება სხვა თანამეგობრობის შექმნა, — განაცხადა პარლამენტის მეთაურმა. — ავადმყოფობა დამოუკიდებელ სახელმწიფოში ერთნაირია და უნდა გავერთიანდეთ, რათა უფრო ეფექტიანად ვუმკურნალოთ მას“.

სტანისლავ შუშკევიჩმა აღნიშნა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის სამხედრო საკითხების გადაწყვეტაში არ არის ერთგვაროვანი მიდგომები, „მაგრამ ეს არ იწვევს პროტესტებს ერთმანეთის მიმართ“. ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო და შთამაგონებელი ის იყო, რომ სამხედრო საკითხებს უდიდესი გაგებით მოეკიდა რუსეთის დელეგაცია, — თქვა მან, — აღმოჩნდა აგრეთვე, რომ გენერალური შტაბის თანამშრომლებმა, რომლებიც დოკუმენტებს ამზადებდნენ, ჯერ არ იციან ისე მუშაობა, როგორც საჭიროა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“.

ეკონომიკისა და ფინანსების დარგში პოლიტიკას რომ შეეხო, სტანისლავ შუშკევიჩმა თქვა: „არ მინდა გავართულო ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან ეროვნული ვალუტის დაწესებით“. „ყველა ფაქტორის გათვალისწინება მაიძულებს უაღრესად თავშეკავებული ვიყო ამ საკითხში, ვეცდით, რომ დარჩეს ერთიანი მანეთის ზონა“, — თქვა მან.

ბეიკერის გეგმები

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმზ ბეიკერმა მოამზადა და უკვე შეუთანხმა პრეზიდენტ ბუშს დიდი ცვლილებანი ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური უწყების უმაღლეს ეშელონებში. მთელი რიგი მომავალი დანიშვნები ზოგიერთი ამერიკელი დიპლომატის გაოცებას იწვევს. ამას სახელმწიფო დეპარტამენტის საიმედო წყაროებზე დაყრდნობით იუწყება გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“. მომავალი ცვლილებანი შეეხება ამერიკის დიპლომატიის ფართო სფეროს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციით დაწყებული და რუსეთთან ურთიერთობითა და მოლაპარაკებით დამთავრებული.

მაგალითად, გაზეთის თქმით, სახელმწიფო მდივანი ბეიკერი გეგმავს უშიშროების, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებში თავისი ახლანდელი მოადგილე რეჯინალდ ბარტოლომიუ გაგზავნოს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად ნატოში. ბარტოლომიუს შეცვლის ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ელჩი ფილიპინებში ფრენკ უაიზნერი, თავის მხრივ თომას პიკერინგი, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბუშის ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროიდან, გახდება ამერიკის ელჩი დელიში. მის ადგილს დაიკავებს ედვარდ პერკინსი, საზღვარგარეთის სამსახურის ბიუროს ახლანდელი გენერალური დირექტორი.

გაზეთი წერს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის წყაროებმა ცვლილებათა არავითარი განსაკუთრებული მიზეზები არ დაასახელეს, გარდა იმისა, რომ ისინი გამოწვეულია... „მაღალი თანამდებობის, პერსონალის როტაციის აუცილებლობით“.

მაგრამ ზოგიერთმა მომავალმა ცვლილებამ გააოცა სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური პირნი, წერს „ვაშინგტონ პოსტი“.

ბარტოლომიუს თავისი პოსტი უჭირავს ხელისუფლების სათავეში ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ და ამ ბოლო წლებში იგი მეთაურობდა მოლაპარაკებას რუსეთთან და სსრ კავშირის სხვა ყოფილ რესპუბლიკებთან, რომლებსაც აქვთ სტრატეგიული რაკეტები და ბირთვული ქობინები, მათი დემონტირების, განიარაღებისა და საბოლოო მოსპობის საკითხებზე. „სახელმწიფო დეპარტამენტის მრავალი წყარო, — აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით „ვაშინგტონ პოსტი“, — გაკვირვებული არიან იმით, რომ ბეიკერს სურს ჩამოაცილოს იგი ასეთ მოლაპარაკებას ახლანდელ დელიკატურ ფაზაში და შეცვალოს იგი უაიზნერით, რომელიც გახდა ელჩი ფილიპინებში მხოლოდ გასული წლის ზაფხულში“. თუმცა ფრენკ უაიზნერი ამერიკის დიპლომატიის „მომავალ ვარსკვლავად“ ითვლება, მისი კარიერა თითქმის მთლიანად დაკავშირებული იყო აფრიკასთან და ახლო აღმოსავლეთთან და მას არა აქვს გამოცდილება გაუძღვეს მოლაპარაკებას შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხებზე. მრავალი ამერიკელი ექსპერტი გააოცა ნატოში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის პოსტზე ბარტოლომიუს დანიშვნამაც იმ პერიოდში, როცა „ცივი ომის“ დამთავრება, „ვაშინგტონ პოსტის“ თქმით, საერთოდ „აძრავს საკითხს ნატოს არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ“.

რამდენიმე სტრიქონით

რუსეთის ფედერაციის საჰაერო დისპეჩერების დაგეგმილი გაფიცვა არ შედგა. მხარეები მოლაპარაკებაზე წავიდნენ. როგორც ცნობილია საჰაერო დისპეჩერები ითხოვდნენ 36 საათიან სამუშაო კვირას და 48 დღიან შვებულებას, აგრეთვე ხელფასის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას.

ინდოეთში ვიზიტის შემდეგ ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი პაკისტანში ჩავიდა და ქვეყნის პრემიერს ნავაზ შარიფს შეხვდა. ვარაუდობენ რომ მალე ყაზახეთი და პაკისტანი დიპლომატიურ ურთიერთობას დაამყარებენ.

უკრაინის პრეზიდენტის კრავჩუკის ამასწინანდელმა წინადადებამ მოლაპარაკება გაიმართოს ბირთვული პოტენციალის შემცირების თაობაზე თანამეგობრობის ოთხ სახელმწიფოსა და შეერთებულ შტატებს შორის, თეთრი სახლის დიდი ყურადღება მიიპყრო. კიევიდან მიღებულ ამ ცნობას თეთრმა სახლმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: ჩვენ გვაქვს კონტაქტები და ვაწარმოებთ დიალოგს ამ ოთხ ქვეყანასთან.

ევროპის გაერთიანებათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილესთან ფრანს ანდრიესენთან შეხვედრით დამთავრდა ბელგიაში აზერბაიჯანის პრემიერის ჰასან ჰასანოვის სამუშაო ვიზიტი. მისი მთავარი მომენტი გახდა ევროპარლამენტის დეპუტატთა წინაშე გამოსვლა, შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანთან მანფრედ ვერნერთან. მოგვიანებით ვერნერი მოსკოვში გაემგზავრა და რუსეთის პატრიარქს ალექსი II შეხვდა. მალე ვერნერი შეხვდება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კოზირევს, თანამეგობრობის მთავარსარდალს შაპოშნიკოვს, რუსეთის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს ელცინსა და რუცკოის.

დაიწყო პრეზიდენტის ახალი საარჩევნო კომპანია შეერთებულ შტატებში. იგი ჩვეულებრივ ნიუ-ჰემფშირის შტატით იწყება ნიუ-ჰემფშირი ერთ-ერთი იმ 13 შტატთაგანია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა შეერთებულ შტატებს. აქ ჩატარებულ არჩევნებს დაზვერვითი ხასიათი აქვს. ორი უდიდესი პარტიის რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ლიდერები ერთმანეთში არკვევენ ურთიერთობას. ნიუ-ჰემფშირში ძალები სცადეს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებმა პოლიტიკურმა მიმომხილველებმა პატრიკ ბიუ ქენონმა და პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. პირველმა ხმების 40 პროცენტი მოაგროვა, მეორემ 58 პროცენტი. მიმომხილველებმა ქენონის დიდი წარმატება იმით ახსნეს, რომ ნიუ-ჰემფშირის შტატი საკმაოდ დაზარალდა ბუშის ეკონომიკური პოლიტიკის გამო. ქენონმა კი თავისი სიტყვა ბუშის ეკონომიკური კურსის კრიტიკაზე ააგო, მაგრამ ადრე თუ გვიან მასაც მოუწევს საკუთარი ეკონომიკური პლატფორმის შემუშავება, კრიტიკით ყოველთვის ფონს ვერ გახვალ, თვლიან მიმომხილველები. თუ პრეზიდენტი ბუში უკმაყოფილო იყო ნიუ-ჰემფშირის შედეგებით, მისი შანსები პრეზიდენტის პოსტის შენარჩუნებისათვის საკმაოდ მაღალია. დემოკრატიულ პარტიას გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, მათ შორის გამოირჩევიან პოლ თონგისი, ბილი კლინტონი და ჯერი ჯეკსონი.

საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი გახდება ავტორი ყოველთვიური კომენტარებისა, რომელსაც დაბეჭდავს ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“. კომენტარების მოცულობა ერთი საგაზეთო გვერდის სვეტია. უკვე განისაზღვრა გორბაჩოვის პირველი ოთხი კომენტარის თემები. კომუნიზმის მომავალი, სპარსეთის ყურის ომის მნიშვნელობა, მოსკოვისა და ვატიკანის ურთიერთობა, გორბაჩოვ-ელცინის ურთიერთობა. „ნიუ-იორკ თაიმსი“ კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე არაფერს ამბობს.

„იჟიფშნ გაზეთი“ იუწყება, რომ ამიერიდან ისრაელის ყველა მოქალაქე, რომელიც ეგვიპტეში ყალბ ამერიკულ დოლარებს ავრცელებს, სისხლის სამართლის წესით დაისჯება. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყოველწლიურად ეგვიპტეში ჩადის 100 ათასი ებრაელი ტურისტი.

28 აპრილს ერაყი აპირებს საზეიმოდ აღნიშნოს ქვეყნის პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის დაბადების 56-ე წლისთავი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ღონისძიებებია დასახული სალაჰ ედ დინის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც დაიბადა ერაყის ახლანდელი ხელმძღვანელი.

ეროვნული სოციოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მოლდოვეთის ყველაზე პოპულარული პოლიტიკური მოღვაწეა პრეზიდენტი მირჩა სნეგური. მას მოსახლეობის 66 პროცენტი უჭერს მხარს. შემდეგ მოდიან პარლამენტის თავმჯდომარე ალექსანდრე მოშანუ და პრემიერ-მინისტრი ვალერიუ მურავსკი. მათ მხარს უჭერენ მოსახლეობის 40-40 პროცენტი.

რუსეთის ფედერაციის პარლამენტის დეპუტატის, კალინინგრადის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის იური მატოჩკინის აზრით კალინინგრადის ოლქის ადგილზე უნდა შეიქმნას ბალტიისპირეთის ახალი რესპუბლიკა, რომელიც დამოუკიდებლად დაამყარებს კავშირს დასავლეთის ქვეყნებთან. შეგახსენებთ, რომ კალინინგრადის ოლქის ტერიტორია 170 ათასამდე კმ^2 და ადრე ამჟამად გაუქმებული აღმოსავლეთ პრუსიის შემადგენლობაში შედიოდა.

„ნეზავისიმაია გაზეტას“ ცნობით მოსკოვის შავ ბაზარზე ერთი დოლარის ფასი 70-85 მანეთამდე შემცირდა. „ვეჩერნი მოსკოვის“ აზრით 2-3 თვეში ერთ დოლარის ფასი 50-60 დოლარი იქნება. მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის ბიზნეს-ცენტრის დირექტორის მოადგილე პეტრე სემინიხინი კი თვლის რომ უკვე აპრილ-მაისში დოლარის ფასი 300 მანეთამდე გაიზრდება.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, რომ შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელმა აღიარა, რომ წყალქვეშა ნავით „ბატონ-რუჟი“, რომელიც 11 თებერვალს ბარენცის ზღვაში შეეჯახა თანამეგობრობის წყალქვეშა ნავს, ასრულებდა სადაზვერვო ამოცანებს. გაზეთი აგრეთვე იუწყება, რომ ამჟამად პანამაში მყოფმა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რიჩარდ ჩეინიმ თქვა, მომხდარი შეტაკება არავითარ შემთხვევაში არ მოახდენს გავლენას ვაშინგტონის პოლიტიკაზე და არ გამოიწვევს ცვლილებებს მისი ფლოტის ოპერატიულ საქმიანობაში.

უცხოური კარიკატურა


C'EST MOI QUI VOUS AI LIBÉRÉS DE LA MENACE SOVIÉTIQUE!
FACTURE
PANCHO

— მე გიხსენით საბჭოთა საფრთხისგან (ხელში კი უჭირავს ქაღალდი წარწერით: „ანგარიში“).

„მონდი“.
პარიზი.

იტარ-ტასის სააგენტო იუწყება, რომ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობამ უარყო ჩეჩნეთის ლიდერთა ცდები, რუსეთის ხელისუფლებას დააკისრონ ბრალად ჩეჩნეთ-ინგუშეთში მოვლენების საშიში განვითარება. უზენაესმა საბჭომ დაადასტურა, რომ მზად არის მოლაპარაკების დაწყებისათვის.

საგარეო პოლიტიკის ახალი ოთხი პრინციპი მშვიდობიანი თანაარსებობის ხანგრძლივი წლების მანძილზე მოქმედი ხუთი პრინციპის ნაცვლად განსაზღვრა ჩინეთის ხელმძღვანელობამ. მათ შორის, როგორც გასულ კვირას იაპონური „იომიური“ იუწყებოდა, არის დამოუკიდებულება, ინიციატივის უზრუნველყოფა, სრული თანასწორუფლებიანობა, ურთიერთპატივისცემა და ჩაურევლობა საშინაო საქმეებში. ახალი პრინციპები უკვე გააცნეს ჩინეთის ყველა დაინტერესებულ უწყებას.

გუშინწინ პროგრამა „იტოგისათვის“ მიცემულ ინტერვიუში თანამეგობრობის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა მარშალმა ევგენი შაპოშნიკოვმა კმაყოფილება გამოთქვა მინსკში თანამეგობრობაში შემავალ სახელმწიფოთა მეთაურთა შეხვედრების შედეგებით: მან თქვა რომ ამჟამად ჩვენ კონკრეტულად ვიცით თუ რომელ ქვეყანას უნდა ერთიანი სამხედრო ძალები და ვინ არის ამის წინააღმდეგი: სარდლის განცხადებით საკუთარი ჯარების შექმნის მომხრეა უკრაინა, მოლდავეთი და აზერბაიჯანი. შაპოშნიკოვმა კვლავ განაცხადა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის საკუთარი შეიარაღებული ძალების ყოლა მიუღებელი არისო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ამ დღეებში

გვერდს „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი



რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო და ვიზების რეგისტრაციის განყოფილებამ — „ოვირმა“, როგორც მას უმეტესნი იცნობენ, მისამართი შეიცვალა: დიდუბე, ვანის ქ. №4 — ასეთია ახლანდელი მისი ადგილსამყოფელი. მისამართის შეცვლა ნებით არ მომხდარა.

მოგეხსენებათ, იმ ავადმოსაგონარ დეკემბერ-იანვრის ძმათამკვლელი ომის დღეებში თავისუფლების მოედანზე დაიწვა განყოფილების შენობა, მთლიანად განადგურდა არქივები, საბუთები, ავეჯი, აპარატურა თუ სხვა ინვენტარი, რაც კი დაწესებულებას ჰქონდა, ყველაზე მეტად კი, როგორც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო და ვიზების რეგისტრაციის განყოფილების უფროსმა, მილიციის პოლკოვნიკმა **გივი ინჯიამ** გვითხრა, გული სწყდებათ იმ დიდ არქივზე, სადაც ინახებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებში სამუდამო საცხოვრებლად წასულთა არქივები, რომელთა აღრიცხვა 1921 წლიდან ხდებოდა, მათი აღდგენა კი, ახლა შეუძლებელია.

ახალი შენობის ასე დროულად მიღება არც ისე იოლი იყო. ამ საქმეში მათ, რასაკვირველია, მთავრობის დახმარებით დიდი ამაგი დასდეს თბილისშენის სამმართველოს, კერძოდ ბატონმა ილო ქევხიშვილმა. მართალია, აქ მათ ერთი სართული უჭირავთ და ძალიან ვიწროდაც არიან, მაგრამ ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არ არის.

დიახ, ჯერჯერობით ისევ მძიმე სიტუაციაა ჩვენს რესპუბლიკაში, ისევ არეულობას ესწრაფვიან ზოგ-ზოგნი, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისი კალაპოტით მიედინება და ადამიანები კვლავ განაგრძობენ ჩვეულ საქმიანობას, ამიტომ არც გამკვირვებია, როცა „ოვირის“ შენობასთან დიდუბეში მრავალი მანქანა და ხალხი ირეოდა და მესამე სართულამდე ძლივს გავიკვლიე გზა.

„ოვირი“: პრობლემები არ კლებულობს

ლარისა ხუხულური

აქტუალური ინტერვიუ

— უცხოეთში წამსვლელთა ნაკადი კვლავ დიდია, — გვითხრა ბატონმა გივიმ. — ვიზებისა და რეგისტრაციის სამსახური კვლავ დაძაბულად მუშაობს. ამაზე დერეფანში, ოთახებთან გამართული რიგებიც მიგანიშნებთ. ესენი არიან როგორც საზღვარგარეთ კერძოდ მიწვეულნი, ასევე ტურისტები და მუდმივ საცხოვრებლად წამსვლელნი.

— მუდმივ საცხოვრებლად ვინ თხოულობს წასვლას?

— ქართველი ებრაელები. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ ხანს მასობრივად მიდიან, თუმცა ეს პროცესი ახალი არ არის. წამოიჭრა ბერძენთა პრობლემაც, რომლებიც ასევე სამუდამოდ გვტოვებენ.

როგორც კი მუშაობას შევუდექით, უწინარესად დავიწყეთ იმ ებრაელთა საბუთების აღდგენა, რომლებსაც ჩვენთან უკვე დოკუმენტები ჩაბარებული ჰქონდათ და შენობის დაწვასთან ერთად მთლიანად განადგურდა. საბუთების აღდგენაში დიდი დახმარება გაგვიწია ებრაელთა საზოგადოება „სოხნუთმა“. დაახლოებით 300-მდე კაცი უკვე გაემგზავრა კიდეც. ესენი იყვნენ უმეტესად ცხინვალში, რაჭაში, ჭიათურა-საჩხერის ზონაში მცხოვრები ებრაელები. და უნდა გითხრათ, რომ მათ პასპორტში ყოველ ხელის მოწერაზე გული მტკიოდა, რომ ისინი ჩვენგან სამუდამოდ მიდიოდნენ.

— მუდმივ საცხოვრებლად წამსვლელთა საკითხი ასე თუ ისე გასაგებია, აი, ამჟამად თქვენთან რომ ამდენი ხალხია, ესენი ვინღა არიან?

— უმეტესად თურქეთში წამსვლელები. მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელ ხანს რამდენ მომრავლდნენ თურქეთში გამგზავრების მსურველნი. რესპუბლიკის მასშტაბით რამდენი ასოციაცია და კოოპერატივი შეიქმნა, რომლებიც ემსახურებიან როგორც თურქეთში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტურისტული მარშრუტით წამსვლელებს. მარტო აჭარაში 40-მდე ასეთი კოოპერატივია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კოოპერატივები და ასოციაციები უმეტესად აქედან წასულ ტურისტებს ემსახურებიან, არადა, რესპუბლიკისთვის კარგი იქნება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამომსვლელ ტურისტთა რიცხვიც გაზრდილიყო, რაც ტურიზმის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

ახლა გეტყვით ჩვენი პრობლემა რაში მდგომარეობს, ვინაიდან საქართველოს ჯერჯერობით არ გააჩნია საზღვარგარეთ წამსვლელთათვის განკუთვნილი დებულება, არა გვაქვს შემუშავებული დოკუმენტაცია, ისევ ძველებური, საკავშირო წესდებით ვსარგებლობთ, რაც შემდეგში მდგომარეობს: მოქალაქემ საზღვარგარეთ ინდივიდუალურად გასვლისას უნდა წარმოადგინოს მოწვევა, რომელსაც მას უგზავნის ახლობელი ნათესავი, მეგობარი თუ ნაცნობი. მოწვევის წარმოდგენის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში (დაახლოებით ორმოცი დღე) იღებენ საზღვარგარეთის პასპორტს და მიემგზავრებიან მოსკოვში, საკონსულოში, სადაც წარადგენენ ჩვენთან გაცემულ პასპორტს და ამის საფუძველზე იქ აძლევენ ვიზას, ესე იგი, საზღვარგარეთ გასვლის უფლებას. ეს კარგად მინდა დაიხსომონ ჩვენმა მოქალაქეებმა, რადგან ბევრს ჰგონია, თითქოს რაკი მიწვევა მიიღეს, ეს უკვე ვიზაა და სხვა არავითარი საბუთი აღარ სჭირდება.

— მოწვევის შემდეგ საზღვარგარეთის პასპორტის მისაღებად რატომ არის საჭირო ამდენი დრო, როგორც თქვენ ბრძანეთ, დაახლოებით ორმოცი დღე?

— ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ, ჯერ ერთი, წამსვლელნი ძალზე ბევრნი არიან. მაგალითად, მარტო თურქეთში გამგზავრების მსურველთა რიცხვი რესპუბლიკის მასშტაბით დღეისათვის 150000-ზე მეტია. დაბრკოლებას ძირითადად პასპორტების უქონლობა გვიქმნის, ჩვენ ხომ ისევ საბჭოთა პასპორტით ვსარგებლობთ, რომლებსაც მოსკოვიდან ვიღებთ. ისინი კი წინათაც არ გვიგზავნიდნენ სამყოფს და ახლა — მით უმეტეს ნაკლებს გვაწვდიან. ამის გამო იქმნება რიგები. თუმცა რიგები მხოლოდ თურქეთსა და საბერძნეთში წამსვლელებზეა.

— ამბობენ, თურქეთში გამგზავრებისას საზღვარზე გადასვლისთვის ათი დოლარი უნდა გადაიხადონო, მართალია?

— დიახ, ეს თურქეთის მთავრობამ შემოიღო, და იცით რატომ? ბათუმში, თურქეთის საკონსულოში გამგზავრების მსურველთა ისეთი დიდი რიგები იმართებოდა, რომ მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომ თურქეთის მხარემ ეს პრობლემა ადვილად გადაჭრა. იქ იციან, რომ ჩვენი განყოფილება მოქალაქეს მოწვევის გარეშე საბუთებს არ გაუფორმებს, ამიტომ ვიზის მაგივრად მოითხოვა საზღვარზე გადასვლისას გადაიხადონ ათი დოლარი და ამის დასტურად პასპორტში ბეჭედს არტყამენ.

ჩვენმა ყოფილმა მთავრობამ ამის პასუხად მოითხოვა, რომ წამსვლელმა საზღვრის გადალახვისათვის ათი დოლარი გადაიხადოს, რაც სწორად არ მიმაჩნია. მიწვევით თურქეთში გამგზავრება ახლა ჩვენს მოქალაქეს უჯდება 200 მანეთი, რომელსაც საბაჟოს სახით სახელმწიფოს უხდის, და 20 დოლარი საზღვრის გადალახვისთვის. ეს კი ხალხს უხერხულ მდგომარეობაში აგდებს, ბანკებში ვალუტა არ არის, სად იშოვონ დოლარები? იძულებული ხდებიან საჭირო ვალუტა უკანონო გზით შეიძინონ. ამას ისიც ემატება, რომ, საერთოდ, უვალუტოდ მიდიან და ამის გამო იქ იწყებენ ვაჭრობას, ათასგვარ დამამცირებელ მოქმედებას, რაც ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი და დაგმობილიც.

— ამ უკანასკნელ ხანს გახმაურებულმა ამბავმა, ჩვენი ტურისტების მიერ ვალუტის შესაძენად ტყვია-წამლის გაყიდვის ფაქტმა ხომ, მთლად მოგვჭრა თავი.



— დიახ, ეს ცალკე საუბრის თემაა, იმდენად მტკივნეული ამბავია, რომ მას სერიოზული მსჯელობა და ზომების მიღება სჭირდება.

— თქვენ ბრძანეთ, რომ თურქეთში იქნება ეს თუ სხვა ქვეყანაში ინდივიდუალურად კერძო გასვლისას, მოქალაქემ უნდა წარმოგიდგინოთ მიწვევა, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ამ მოწვევით სპეკულაციაც ხდება. ვილაც იქს პიროვნებები საკმაოდ დიდი გასამრჯელოს ფასად ყიდიან მიწვევებს და ამით ჯიბეს ისქელებენ. ამის თაობაზე რას გვეტყვით?

— ეს ფაქტიც ცნობილია. ასეთი სპეკულაციით თვით მიწვევის დედააზრი იკარგება. სპეკულაციის ეს ფორმა რომ მოვსპოთ, კარგი იქნება ორივე ქვეყნის მთავრობებმა მოილაპარაკონ, რომ ყოველგვარი მიწვევების გარეშე ხდებოდეს საბუთების გაფორმება.

— მაშინ რიგები უფრო გაიზრდება და პასპორტების საკითხიც წამოიჭრება.

— ამას მოევლება, თუ ასევე ორივე ქვეყნის მთავრობათა მოლაპარაკების საფუძველზე ნებას დაგვრთავენ, ჩვენს მუდმივ პასპორტში გვქონდეს შესაბამისი დანართების გაკეთების უფლება, რაც გააიოლებს და მეტ თავისუფლებას შეუქმნის საზღვარგარეთ წამსვლელებს. დღესდღეობით კი მინდა ვაცნობოთ ჩვენს მოქალაქეებს, რომ ვისაც საზღვარგარეთის პასპორტი აქვს მიღებული, იგი გამოდგება შემდეგ გასვლაზეც, თუნდაც მეხუთედ წავიდნენ, მაგრამ ყოველი გასვლისთვის აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ახალი მიწვევა.

კიდევ ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ ბატონ გივი ინჯიასთან. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი კოოპერატივი თუ ასოციაცია არღვევს კანონს, როცა თურქეთში გასამგზავრებლად საბუთებს ჩვენს რესპუბლიკაში არმცხოვრებთ უფორმებს, რითაც კიდევ უფრო დიდი რიგები იმართება სარფის საბაჟოსთან. იგი ხომ ჩვენი რესპუბლიკის გარდა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებსაც ემსახურება. საერთოდ კი, ყველგან, სადაც „ოვირის“ ორგანიზაციებია გახსნილი, აჭარა-აფხაზეთი იქნება ეს, თბილისი თუ ქუთაისი, ყველა უნდა ემსახურებოდეს თავიანთ მხარეში, რაიონსა თუ ქალაქში მცხოვრებს.

თებერვალი ჭირვეულობს

ზამთარი თბილისში.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

გორში, კონფერენციაზე...

გურამ ვაშაკიძე

ამ დღეებში, გორში, პირველი სამუსიკო სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა საქართველოს ეროვნული თანხმობის და აღორძინების კავშირის გორის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

კავშირის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს გორის ხილის კონცენტრატების ქარხნის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი გივი გაგნიძე.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის თავმჯდომარემ ვალერიან ადვაძემ.

წერილი რედაქციას

ბატონო რედაქტორო, ა. წ. 14 თებერვლის ნომერში, თქვენს გაზეთში გადმობეჭდილი იყო გაზეთ „იზვესტიის“ წერილი, რომელშიც დაშვებულია მცირე უზუსტობა: სტატიაში ხსენებული კახა კობერიძე დაიღუპა ავადმყოფობით და არა პატრულირების დროს, როგორც სტატიაშია ნათქვამი. გთხოვთ, გაზეთის საშუალებით გაასწოროთ ეს შეცდომა.

წინასწარ გიხდით მადლობას.

მზია კობერიძე, (დედა)
თბილისი.

ჩოგანი

არაჩვეულებრივი გამოფენები

(23 თებერვალს ტელეეკრანზე)

ALBERTVILLE 92.

ვახტანგ ნადირაძე

კვიმატები შეთხზულ თუ ნამდვილ თავშესაქცევ ამბავს ჰყვებოდნენ კობა წაქაძეზე.

ცნობილ მოცურავეს სალნიკოვს ბაკურიანში დასვენება მოუსურვებია. კობა მაშინ სასტუმროს დირექტორად მუშაობდაო. სტუმარს ადგილზე არ დახვდა. თანამშრომელმა მოძებნა და უთხრა, სალნიკოვი ჩამოვიდაო.

— ეგ ვინღააო — უკითხავს კობას.

— ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, რეკორდსმენი ცურვაშიო, — შეცბუნებულს ჩამოუთვლია სალნიკოვის ტიტულები ამბის მომტანს.

— მე რა, „მფრინავი ტორპედო“ არ ვიყავიო?! — მიუხლია კობას. ალბათ, ცოტაოდენი ნაწყენი კილოთი.

...

იყო!

გვავიწყდება, რომ ჩვენ ტორპედოებიც გვყავდნენ, კარუზოებიც, ვეფხვებიც.

სხვისი ტიტულები გვახსოვს, მათი არა, იმიტომაც სწყინთ...

...უზარმაზარმა გაჩახჩახებულმა გემმა აისბერგივით ჩაუარა მისი სიკაშკაშით გაოგნებული, პირდაღებული ადამიანებით სავსე პატარა ნავს და თითქოს სხვა სამყაროში გაუჩინარდა. ფელინის ფილმის „ამარკორდის“ ეს კადრი გამახსენდა, როდესაც 23 თებერვალს ტელეეკრანზე ალბერვილის ზამთრის ოლიმპიადის საზეიმო დახურვის ცერემონიალს სურეალისტურ-მოდერნისტული სტილის ატრიბუტიკით, კომპოზიციებით, ფერებით შეზავებულ არაჩვეულებრივ გამოფენას ვუცქირე.

ოლიმპიადა დაიხურა.

არაჩვეულებრივი გამოფენა ფელინის გემივით გაუჩინარდა ტელეეკრანიდან.

მეწყინა!

იქ ჩემიანები არ იყვნენ და უფრო იმიტომ.

ოპტიმისტები საიმედო ამბებს ჰყვებიან, მომავალ ოლიმპიადებზე ჩვენც მივიღებთ მონაწილეობასო...

...ხმლით, ფარით თუ კისერზე წურბელებით გნებავთ ბატონო ბონა გამოქანდაკებაო, — აღშფოთებული ენამახვილობს აგული ერისთავი. თბილისში კოლეგებს გარდაცვლილი ჰგონიათ — ერთ ერთ გამოფენაში არ მიუღია კარგა ხანს მონაწილეობა — სურს სერიოზული ნაწარმოები შექმნას, თავს დასტრიალებს ბერძნულ ქვას, შემდეგ მას... მოწაფეს გადააბარებს.

„მე ამისგან გავაკეთებ!“, წამოიძახებს აგულის მოწაფე და ტელეეკრანზე ოლიმპიადის დახურვის შემდეგ ელდარ შენგელაიას ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენაც“ გაუჩინარდა.

...ხვალ დიდ სპორტში ჩვენი ღირსება „მფრინავი ტორპედოს“, „ფეხბურთის კარუზოს“ და „კლდის ვეფხვების“ მემკვიდრეებმა უნდა დაიცვან.

ამიტომ არ ღირს მათი დავიწყება.

„ელექტრონული დიდოსტატის“ მიზნები

საჭადრაკო კომპიუტერი „ღიპ სოტი“ შეიქმნა კარნეგი-მელონის (პიტსბურგი) ამერიკულ უნივერსიტეტში. მის „სადარბაზო ბარათში“ ვკითხულობთ, რომ კომპიუტერი თამაშობს დაახლოებით 2500-2550 კოეფიციენტის ძალის დიდოსტატივით. ასე რომ, ახლა, როდესაც ზოგ ქვეყანაში დიდი პოპულარობა მოიპოვეს გუნდურმა ჩემპიონატებმა, ასეთი დიდოსტატის ყოლას თავის რიგებში ბევრი კლუბი ისურვებდა. სპეციალისტების აზრით, „დიპ სოტს“ შეუძლია წამში 500 ათასი სვლის გათვლა. ამიტომაც იყო, რომ ედმონტონის (კანადა) კომპიუტერთა საერთაშორისო ტურნირში „დიპ სოტმა“ იოლად სძლია „კრეი ბლიცს“, რომლის კოეფიციენტი გახლავთ 2500 და რომელიც წამში 100 ათას სვლას ითვლის.

პოპულარობა მოიპოვეს მინიატიურულმა კომპიუტერებმა, რომელთა ძალაც სისტემატურად იზრდება. ერთი მათგანია „მეფისტო — ალმერია“. როცა ნიურნბერგში (გერმანია) დებმა პოლგარებმა სამი სეანსი გამართეს ამ ქალაქის 25 უძლიერესი მოყვარული მოჭადრაკის წინააღმდეგ, ამ ასპარეზობაში „მეფისტო-ალმერიც“ მონაწილეობდა.

დამსწრეთა აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა „მეფისტო-ალმერიამ“ დების წინააღმდეგ სამი შესაძლებლიდან 2,5 ქულა მოაგროვა. ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ კომპიუტერმა დაამარცხა იუდით პოლგარი, რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველი ადგილი უჭირავს.

ძნელი სათქმელია, დაამარცხებენ თუ არა კომპიუტერები დაახლოებით 10 წლის შემდეგ მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებს. ის კი ფაქტია, რომ მათი კოეფიციენტები სისტემატურად იზრდება, წლიურად, საშუალოდ, 70-80 ბალს იმატებენ. ზოგი სპეციალისტის აზრით არ არის გამორიცხული, რომ ახდეს მსოფლიოს ექსჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკის წინასწარმეტყველება: „დადგება დღე, როცა ელექტრონული მანქანა შეძლებს თვით მსოფლიო ჩემპიონის დამარცხებასაც კი. ფორმალურად ეს კომპიუტერის ტრიუმფი იქნება, სინამდვილეში კი ადამიანური გენიის ახალი გრანდიოზული გამოვლინება“.

ნამქერი. ზვავები საქართველოში

თოვა, რომელიც შეიძლება ითქვას, შეწყდა დასავლეთ საქართველოში, 22 თებერვალს ღამით დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოში და გრძელდება ამ დღესაც. ახლა რესპუბლიკის მთელი ტერიტორია თოვლით არის დაფარული. თოვლის საფარვლის ქვეშ აღმოჩნდა ქართლის ხეობის ბაღები და კახეთის ვენახები, მესხეთ-ჯავახეთის მინდვრები და საძოვრები. ყველა ამ რეგიონში თოვლის სიმაღლე საშუალოდ აღწევს ნახევარ მეტრს, ხოლო ზოგ რაიონში — ბევრად მეტსაც. მაგალითად, 24 თებერვალს დილით აბასთუმანში თოვლის სიმაღლემ 70 სანტიმეტრს მიაღწია. თოვლი კიდევ უფრო მეტი დაგროვდა საქართველოს მთის და მაღალი მთის რაიონებში, სადაც კვლავ არის ზვავების ჩამოწოლის საფრთხე. მაქსიმალურად გართულდა ტრანსპორტის მუშაობა, სათბობისა და სურსათის მიტანა ცალკეულ რაიონებში.

— ამჯერად ჰაერის ცივმა არქტიკულმა მასებმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოაღწია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, კასპიის ზღვის მხრიდან, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს კოტე ცხომელიძეს რესპუბლიკის ჰიდრომეტცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილების უფროსმა გაიოზ ოქროჯანაშვილმა.—სწორედ ეს მასები, რომლებმაც განდევნეს უფრო თბილი და ნოტიო მასები და შეერივნენ მათ, გახდა აღმოსავლეთ საქართველოში ახლანდელი თოვის მიზეზი.

უახლოეს დღეებში აღმოსავლეთ საქართველოში თოვა გაგრძელდება. შესაძლებელია კიდევ უფრო გამწვავდეს ზვავის საშიშროება მთის რაიონებში.

დაფუძნდა „ქართული რენესანსის“ კავშირი

ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა „ქართული რენესანსის“ კავშირის (ქრკ) პირველი (დამფუძნებელი) ყრილობა.

„ქართული რენესანსის“ კავშირი არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია ქართული რენესანსი — საქართველოს პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და ზნეობრივ-კულტურული აღორძინება.

ყრილობამ აირჩია კავშირის საბჭო და კავშირის მუდმივმოქმედი ცენტრალური ორგანო — დარბაზი (სოსო ბერიშვილი, მალხაზ [illegible], ლევან გიორგაძე, ავთანდილ კუბლაშვილი, გაიოზ მამალაძე (თავმჯდომარე), ბეჟან [illegible], ირაკლი ტიკარაძე, კახა ტიკარაძე, შოთა ქორქოლიანი, კახა წერეთელი).

ყრილობამ მიიღო მიმართვები — ქართველი ერისადმი და კავკასიელი ხალხებისადმი:

„ქართული რენესანსის“ კავშირის მიმართვა ქართველ ერს

მამულიშვილნო, „ქართული რენესანსის“ კავშირის უმთავრესი მიზანია საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივ-კულტურული აღორძინება, ანუ საქართველოს ახალი ოქროს ხანა.

ამ მიზნის მიღწევის უთუო პირობაა ერისა და ჯიშის გამთლიანება, შეკვრა. უკანასკნელ ხანს საქართველოში დატრიალებული ტრაგედია კი ეროვნული შეგნებისა და ფსიქიკის, ერის ზოგადსაკაცობრიო მისიის მოსპობის ცდაა ნებსით თუ უნებლიეთ.

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ქართველი ხალხის ინტერესებს უნდა ემსახუროს. ყველა პოლიტიკურმა ძალამ აქეთ უნდა მიმართოს ძალისხმევა.

გვწამს, გაიღვიძებს ქართული გონი და გამთლიანდება ერის დაქუცმაცებული სხეული; გვჯერა, ერთიანი ქართული სახელმწიფო შეძლებს თავისი უმთავრესი დანიშნულების აღსრულებას — გახდება ერის კეთილდღეობის, კავკასიის თავისუფლების და მთლიანობის გარანტი.

ყურადღება! ყურადღება! ყურადღება!

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1992 წლის დღის და საღამოს სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

ფიზიკა და მათემატიკა, ბიოლოგია, სამედიცინო ბიოეკოლოგიური გენეტიკა, სამართალმცოდნეობა (დღისა და საღამოს განყოფილებები), საქართველოსა და საზღვარგარეთის ეკონომიკური გეოგრაფია, სახალხო მეურნეობის დაგეგმვა და მართვა (დღის, და საღამოს განყოფილებები), საფინანსო და საკრედიტო საქმიანობის მენეჯერი (დღის და საღამოს განყოფილებები), მარკეტინგისა და ბიზნესის მენეჯერი (დღის და საღამოს განყოფილებები), ისტორია (დღის და საღამოს განყოფილებები).

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა საშუალო ან სპეციალური განათლების მქონე პირებს, რომლებმაც უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

განცხადება რექტორის სახელზე; ატესტატი ან საშუალო-სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი); სამედიცინო ცნობა ფორმა № 086-უ, ოთხი ფოტოსურათი (3X4); პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთების შემოტანასთან ერთად საგამოცდო მომსახურებისათვის აბიტურიენტი იხდის 150 მანეთს.

ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში საშუალო და საშუალო სპეციალური სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულები ჩაირიცხებიან გასაუბრების წესით.

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. ფიზიკა — ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (გასაუბრება), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი);
2. მათემატიკა — მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (გასაუბრება), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი);
3. ბიოლოგია, სამედიცინო ბიოეკოლოგიური გენეტიკა — ბიოლოგია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი);
4. სამართალმცოდნეობა — სამართალმცოდნეობა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა, (ზეპირი); უცხო ენა (გასაუბრება).
5. ისტორია — ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი);
6. საქართველოს და საზღვარგარეთის ეკონომიკური გეოგრაფია — გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი);
7. სახალხო მეურნეობის დაგეგმვა და მართვა, საფინანსო და საკრედიტო საქმიანობის მენეჯერი, მარკეტინგისა და ბიზნესის მენეჯერი — მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

უნივერსიტეტში სწავლების ვადა 5 წელია. უნივერსიტეტი სამეურნეო ანგარიშზეა. სწავლების საფასურის გადახდა მოხდება, როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე ხელშეკრულების გაფორმების წესით. ობლები და ავღანეთის ომის მონაწილეები ისწავლიან შეღავათიანი ფასებით.

მეორადი ფაკულტეტის საღამოს სწავლების II კურსზე გასაუბრების შემდეგ ჩაირიცხებიან უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი.

საბუთების მიღება 2 მარტამდე დღიდან კონკურსის გამოცხადებისა, ყოველდღე 10 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ზუგდიდი, სოხუმის ქ. № 2ა (ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობაში).

გამოცდები და გასაუბრება მოეწყობა 8 მარტიდან 7 მარტამდე ჩათვლით, ჩარიცხვა მოხდება 9-10 მარტს. სწავლა დაიწყება 16 მარტს.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორატი

პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის უნდა მიმართოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებას: რუსთაველის პროსპექტი, № 52, ოთახი 422.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

მხოლოდ დღის დასწრებულზე

ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექციის მიერ ამა წლის 15 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ შეცდომით იყო გამოცხადებული დაუსწრებელ განყოფილებაზე მიღება. აბიტურიენტების მიღება აღნიშნულ ინსტიტუტში წარმოებს მხოლოდ დღის დასწრებულზე.

მთავარი რედაქტორი გურამ გოზიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 22-12-57; წერილების რედაქცია 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29. ინდექსი 64434.